

სულები და თანამოაზრენი

პიესა ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

კლაუს მიულერი - მემახტე. პიესაში მოხვედრილია 1866 წლიდან. გერმანელი კაცი ქალაქ ესენიდან, რომელიც ჩრდილოეთ რაინ ვესტფალიაშია. 50-55 წლის;

ვაჟა ასლამაზიშვილი - მემახტე. პიესაში მოხვედრილია 1991 წლიდან. ქართველი კაცი ქალაქ ტყიბულიდან რომელიც საქართველოშია, მის დასავლეთ მხარეს, იმერეთში. 70-75 წლის;

ჯონ ტეილორი - მემახტე. პიესაში მოხვედრილია 1984 წლიდან. ინგლისელია. იორკშირიდან, რომელიც ჩრდილოეთ ინგლისშია. 35-40 წლის;

პეტრო ბოიკო - მემახტე. პიესაში მოხვედრილია 2018 წლიდან. უკრაინელია, ქალაქ მოლოდოგვარდის-კიდან. აღმოსავლეთ უკრაინიდან, ლუგანსკის ოლქიდან. 16-18 წლის;

ჰადესი - მიწისქვეშეთის მბრძანებელი;

ცერბერი - ჰადესის მსახური. შიშისმომგვრელი არსება, რომელიც თურმე ულამაზესი ასულია;

მაცნე - ძალიან მოხუცი ქალი;

ქორო - სხვადასხვა ასაკის ქალიშვილებისგან შემდგარი არასამთავრობო ორგანიზაცია;

ზევის ხმა;

ნაბადში გახვეული პერსეფონე.

მოქმედება მიწისქვეშეთში, ჰადესის სამფლობელოში მიმდინარეობს.

პიესაში პეტრო ბოიკო მღერის სიმღერას „სულიკო“. ტექსტის ავტორი: აკაკი წერეთელი, მუსიკის ავტორი: ბარბარე წერეთელი.

პროლოგი

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი. სცენაზე გამოდის მოხუცი ქალბატონი - იგივე მაცნე. მას მოჰყვება ქალიშვილებისგან შემდგარი გუნდი - ქორო. სიბნელეა.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) სპექტაკლი ისე არ იწყება, როგორც იწყება ხოლმე - როდესაც დარბაზში შუქი ქრება და სცენა ნათდება. ჩვენ შემთხვევაში ასე არაა. ამჯერად, სცენაზეც ბნელა.

ქორო

დარბაზშიც ბნელა, როგორც ხედავთ.

მაცნე

და ამ დროს განათდება ქორო. (პაუზის შემდეგ) აქ და შემდგომ, მე მოქმედებას გაუწყებთ, ქორო კი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე იზრუნებს.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ახლა, ნელ-ნელა მზჟუტავი განათებით გავნათდები. აი, ასე... აქვე, ჩემ გვერდით, ქორო დგას. მე ახლა დარბაზს დავათვალიერებ.

ქორო

დინჯად, მშვიდად, ბრაზით დაგაკვირდებათ.

მაცნე

თითოეულ თქვენგანს თვალეში ჩავხედავ. (მაყურებელს აკვირდება, ათვალიერებს.)

ქორო

მაცნე ისე მოგმართავთ, თითქოს გეჩხუბებათო. თითქოს თითოეულის წყენა ახსოვს და ახლა შურისძიების ჯერი დადგაო, მაგრამ არ შეგეშინდეთ.

მაცნე

(მაყურებელს აკვირდება სიბნელეში. გზას ფარანით ინათებს.) ჯერ შორიდან, შემდეგ კი ახლოდან გვესმის ბურღის ხმა! ბურღის, რომელიც ქვა-ლორღს ეჭიდება და ამტვრევს. გესმით? კარგად დაუგდეთ ყური... (შორიდან ისმის გუგუნნი.) მოგვიანებით, ჩვენ შევიტყობთ, რომ მემახტეთა იარაღია, მემახტეთა ხმალია, მემახტეთა ძალაა - ბურღი!

ქორო

მაცნე ახლა ერთ მაყურებელს ამოიჩემებს. მხოლოდ მას მიმართავს.

მაცნე

მაგრამ ახლა, როდესაც დარბაზში თითქმის სრულიად ბნელა და მხოლოდ ბურღის ხმა გვესმის, ჯერ კიდევ ვერ მივმხვდარვართ, რომ ეს სწორედ ის ხელსაწყოა, რომლითაც მემახტეები მთებს დგამენ, მიწას აზანზარებენ და დედამიწას სულში უძვრებიან. (სხვა მაყურებელს ამოიჩემებს.) გასაგებია?

ქორო

ამბობენ, რომ ადამიანები გვირაბებს დასაბამიდან თხრიან. მას შემდეგ, რაც პირველი მთხრელი გამოჩნდა, გამოჩნდა მისი სულიც. სული წერაქვით ხელში დადის და შუბლზე მზე უნათებს თურმე. სული ციციანთელას ჰგავს. ათასი, ათიათასი ციციანთელა კლდეებს შორის დადის და გვახსენებს იმ დროს, როდესაც ადამიანმა პირველი გვირაბი გათხარა.

მაცნე

ბნელ დარბაზში გვესმის ბურღის მონოტონურად შემამოფოთებელი ხმა, რომელიც ახლოვდება. ის სულ ახლოსაა... (ხმა უფრო ახლოდან ისმის) აი, ახლა შემომტვრევს სცენის დეკორაციას! (თითქმის ყვირილით) პირველი სურათის დაწყებამდე, ვიდრე სცენაზე მემახტე შემოვარდება, გამაყრუებელ ხმას გავიგონებთ. (გამაყრუებელი ხმაურია. სცენა და დეკორაცია ზანზარებს.) ეს ხმაური კლდის მტვრევის ბრალია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ხმასთან ერთად ქვა, ღორღი, მტვერი, ქვიშა, სილა, ხმაური ერთმანეთში აირევა და სპექტაკლიც დაიწყება. ახლა კი, ბახ! (სცენა ბნელდება. კლდე ინგრევა. ხმაური წყდება.)

სურათი პირველი

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჩაბნელებულ სცენაზე მემახტე შემოვარდება, მაგრამ ჯერ ჩვენ მას ვერ ვხედავთ. მხოლოდ შიში... მემახტე ჩაფხუტს იპოვის, რომელიც თურმე მოსძვრა და ფარანს აანთებს. თვალებით ამზობს, რომ არ იცის სად არის და აქ როგორ მოხვდა. ხედავთ, გარემოს ათვალაიერებს. ეს გერმანელი მემახტე კლაუს მიულერი.

ქორო

ახლა ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ჰადესის სამფლობელოა. ეს ოთახი კი, სადაც ვართ, ერთ-ერთი დარბაზია. როგორია ის? პირქუში, ბნელი, ცივი და მოუწყობელი. თუმცა, ახლა, ეს არ არის მთავარი! ყურადღება მივაქციოთ მემახტეს, რომელიც სცენაზე პირველი ჩამოვარდა. თან შემოიტანა ქვა და შიში.

კლაუს მიულერი

სად ვარ? აუ-უ... არის აქ ვინმე? ვინ არის? აუ-უ...

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ხედავთ? კლაუს მიულერი სცენაზე დაეხეტება. ახლა იმ ნახვრეტს მიადგება, საიდანაც ჩამოვარდა. შეიხედავს, დაიყვირებს, თითქოს იქ ვინმე ეგულეობდეს. მიაყურადებს და როდესაც ხმას არავინ გასცემს, იმავე ჭრილში შეძვრება, საიდანაც ჩამოვარდა.

(მემახტე ნახვრეტში უჩინარდება.)

სურათი მეორე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

სცენა ცარიელი დიდხანს ვერ იქნება. (სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს.) სხვა მხრიდან შემოდის ჰადესი და მისი მოახლე ცერბერი. ჰადესი მივა იქ, სადაც მას სამეფო ტახტი უნდა ეგულეობდეს. მაგრამ სამეფო ტახტი არ ჩანს.

ჰადესი

ცერბერ, სად არის ჩემი ტახტი?

ცერბერი

აქ არ არის, დიდო ჰადეს. (ეძებს)

ჰადესი

რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ჩემს ტახტს ხელი არ ახლო! ვერ ვიტან, როდესაც იქ აღარ დგას, სადაც ვტოვებ ხოლმე. ძნელია შენთვის ამის გაგება? თუმცა, შეიცადე... რაღაც სუნი მცემს! აბა, კარგად დაუკვირდი, მცირედ მორწმუნე... თითქოს...

ცერბერი

აი, დიდო ჰადეს, აქ არის თქვენი სამეფო ტახტი!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) აი, ამონათდა ჰადესის ტახტი. ის მართლაც უცნაურად შორს დგას. ჰადესი ტახტს გარს შემოუვლის. დაჯდომას არ ჩქარობს.

ჰადესი

აბა, შეხედე, ცერბერ, დააკვირდი ჩემს ტახტს? ნუთუ არაფერი გაკვირვებს?

ცერბერი

არაფერი, დიდო ჰადეს. ყველაფერი ისეა, როგორც დავტოვეთ.

ჰადესი

რატომ არაფერი გიკვირს, ცერბერ? განა, ვერ ატყობ, რომ ჩემს ტახტს მტვერი ადევს და ჰაერში გამომწვარი ქვის სუნია?

ცერბერი

(ტახტს აკვირდება. ენით სინჯავს) დიდო ჰადეს, რაღაცაშია საქმე!

ჰადესი

აჰა, განათდა გონება? აბა, მოანათე ეგ შენი ჩირაღდანი, იქნებ ვინმე გვესტუმრა და არ ვიციით?

ცერბერი

ეჰ, დიდო ჰადეს, ჩვენთან, მიწისქვეშეთში, თავისი ნებით ვინ მოსულა?

ჰადესი

(ტახტს აკვირდება, გარემოს ათვალთვლებს) არ ვიცი... ცერბერ, არ ვიცი... არ მომწონს მე ეს ამბავი...

ცერბერი

რა მოსაწონია, როდესაც საკუთარ საბრძანებელში დამწვარი ქვის სუნია და მოსასვენებელ ტახტს მტვრის დასტა ადევს.

ჰადესი

უმჯობესია, გავიდეთ და თავიდან შემოვიდეთ, რადგან ეს მეთოდი არაერთხელ მიცდია და გაუმართლებია.

ცერბერი

რას ბრძანებთ, დიდო ჰადეს, როდის გვიცდია? ასეთი რამ პირველად მესმის.

ჰადესი

როგორ არა, ცერბერ, არ გახსოვს, ამას წინათ, ტახტი რომ არ იდგა? გავედით და როდესაც შემოვბრუნდით, ყველაფერი ადგილზე იყო. არ გახსოვს?

ცერბერი

ეს მეთოდი ყოველთვის ამართლებს.

(გადიან.)

სურათი მესამე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) სცენაზე სიჩუმეა. მოგვიანებით, სულ რამდენიმე წამში, მცირე ხმაურისა და პატარა აურზაურის შემდეგ, სცენაზე იმავე ნახვრეტიდან კვლავ გერმანელი მემახტე კლაუს მიუღერი შემოვარდება.

კლაუს მიუღერი

(მაყურებელს) მართლაც და, რაღაცაშია საქმე! მე მემახტე ვარ. მიხვდებოდით უკვე. კლაუს მიუღერი, მეტსახელად 'წესრიგა'. არ ვიცი, რა მოხდა, როგორ მოხდა, სად და რა იყო... მაგრამ, მორიგეობაზე ვიყავი, ვამტვრევდი ჩრდილოეთ ფერდობის შახტის გვირაბს. ეს ბონიფაციუსის შახტის ვერტიკალური მაგისტრალის მესამე შენაერთია. ჩვენს შახტში ექვსასამდე ადამიანი მუშაობს. ყოველდღიურად ცვლაში თითქმის ოთხასი მუშა გამოვდივართ. ახლა ვერცერთს ვეღარ ვპოულობ. ჩემთვის ვმუშაობდი, ჩემთვის ვასრულებდი გეგმას. ჩვენი შახტი ქალაქ ესენის მახლობლად, განაპირაზეა აშენებული. ესენი პატარა ქალაქია ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიაში. ჩემი ცოლი და სამი შვილი იქ ცხოვრობენ. მე კი აქ, მემახტეთა დასახლებაში. კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, დასვენება მაქვს და მთელ დღეს ოჯახთან ერთად ვატარებ. ჩემი ცოლი - ფრაუ მიუღერი, ქალიშვილობაში შარლოტა კურსბი, წარმოშობით ფრანკფურტიდანაა. ჩვენ ერთმანეთი ნაყინის ბაზრობაზე გავიცანით. მდინარე მაინზე... ფრანკფურტი პატარა სოფელია - იქ. ჩვენ ახლა ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი გვყავს - ჰაიკე, გაბრიელა და ჰაინცი. გამოდის, რომ სულ სამნი არიან.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) კლაუს მიუღერი ჩუმდება. თითქოს, დაფიქრდაო. რას ეძებს? დადის-დადის, აკვირდება-აკვირდება, სწავლობს-სწავლობს. შეხედეთ მის სამუშაო ფორმას. ფეხზე რეზინის ჩექმების ნაცვლად ტყავის მოგვი აცვია. გამხმარი, გამომშრალი მოგვი. ტანთ დათვის ტყავისგან დამზადებული კომბინეზონი შემოუკრავს და თავზე სანთელ ჩადგმული ჩაფხუტი ახურავს. ქამარზე კი, დინამიტის შაშხანები უკიდია. მტერს და ავს, თუ იფეთქა!

ქორო

(ჩაფხუტს ათვალიერებენ) ნეტავ, ეს სანთელი რამეს თუ ანათებს? ამ სანთლის იმედადაა ეს უბედური მემახტე?

კლაუს მიუღერი

(მაყურებელს) რაღაცაშია საქმე! აკი გითხარით, ვამტვრევდი ჩრდილოეთ ფერდობის... ბონიფაციუსის შახტის... (ხელს ჩაიქნევს) წავალ, ჩემები უნდა მოვნახო...

ქორო

(ცდილობენ ხელი შეუსალონ) არ წახვიდე, დარჩი აქ, დაელოდე! იქნებ ვინმე გამოჩნდეს და მოგიყვებს, რა დაგემართა? სად დაეცი და როგორ შეცდი? იქნებ, რაც მოხდა, სულ არ არის შენი ბრალი და ეს განგებაა? იქნებ გვეჩვენება, რომ მიწისქვეშეთში ვართ და პირიქითაა?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მოულოდნელად კედელი ინგრევა და შემოვარდება კიდეც ერთი მეშახტე. ეს ქართველი მეშახტე ვაჟა ასლამაზიშვილია. შეშინებული კლაუსი მიიმალება. ვაჟა გაჭირვებით დგება.

ვაჟა ასლამაზიშვილი

სამსახურში რომ მივდივარ ხოლმე, ჩემი ოჯახის წევრები ლოცვას აძლიერებენ. არ არიან დარწმუნებულნი, რომ შინ დავბრუნდები. რისკი... რისკი ჩვენი პროფესიის ნაწილია. ჩვენ არც სიბნელის გვეშინია და არც სიკვდილის.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ვაჟა ასლამაზიშვილი კედელს სინჯავს, ათვალიერებს.

ვაჟა ასლამაზიშვილი

(სცენაზე ბრუნდება) ადრე, კომუნისტების დროს, ყველაფერი მუშაობდა: ვენტილაცია, რკინიგზა, ვაგონი, საბურღი მანქანა. ახლა ზამთარში გვცვივა, ვიყინებით. აბა, წარმოიდგინეთ, მიწის ქვეშ, მინუს ათი-თხუთმეტი გრადუსია ხოლმე და საბურღ მანქანაზე ვწვებით. ცხელია მოტორი და ვთბებით. წინიდან დაუდგები, გულს მიუშვერ და ცხელი ჰაერი გიბერავს. კი, მტვერიც გეყრება, მაგრამ ვინ ჩივის. სამაგიეროდ ზაფხულში ვიხარებთ. ისეთი სიცხეა ხოლმე, ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ. წარმოიდგინეთ, გარეთ ოცდაათი გრადუსი და ღუმელი, ქვას ალღობს, ოც მეგავატამდეა სიმძლავრე, დიამეტრი სამი მეტრი, მეტი... და ეს ჩართულია. ვენტილაცია არ არის, თვალებიდან ცეცხლი იყრება... სასწაული შრომაა პირდაპირ...

ქორო

და შენი ოჯახი, ვაჟა?

ვაჟა ასლამაზიშვილი

ჩემს გვარში პირველი მეშახტე მამაჩემი იყო. მონაგარი ყველა მეშახტეა. ტყიბულის მინდელის სახელობის შახტში ვმუშაობთ ასლამაზიშვილების მთელი ოჯახი. იმდენი შვილი, რძალი, სიძე და შვილიშვილები მყავს, თვლა ამერია. ახლა, არ იკითხავთ, სად არიან? ზოგი აქ მუშაობს, ზოგი ევროპაში წავიდა, ზოგი რუსეთში.

ქორო

ტყიბული იმერეთშია, დასავლეთ საქართველოში. ნაქერალას ქედის სამხრეთით. ტყიბულში ოთხი შახტია და ოთხივე მუშაობს.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ვაჟა კედელში კლაუსის მიერ დატოვებულ ნახვრეტს შენიშნავს. მიუახლოვდება და შიგ შეიხედავს. ჩაფხუტზე დამაგრებულ ფარანს შეანათებს.

ვაჟა ასლამაზიშვილი

გამოდის, რომ თუ ჩემამდე ვიღაც ყოფილა, მაშინ, ადრე თუ გვიან, კიდეც დაბრუნდება. ისეთი პირი უჩანს, აქ მარტო კაცი ვერაფერს გახდება. ხმა ამოიღე, კაცო..!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ვაჟა ღრმულში შეიხედავს, დაიყვირებს. პასუხს ტყუილად ელოდება, რადგან სამალავიდან გამოდის ჩვენთვის უკვე ნაცნობი მეშახტე, გერმანელი კლაუს მიულერი. ვაჟას უახლოვდება. როგორია მათი შეხვედრა? რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთს არ ელოდნენ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს არავინ ვიცით, როგორ მოვიქცევით! ამიტომ, დიდი ხმაურისა და აურზაურის გარეშე ერთმანეთს ათვალიერებენ. პირველი ხმას ქართველი მეშახტე, ვაჟა ასლამაზიშვილი ამოიღებს და მას მოეჩვენება, რომ...

ვაჟა ასლამაზიშვილი

მამა... შენ ხარ? მამა, მაპატიე, მე ვერ დაგიცავი...

კლაუს მიულერი

ავსტრიელი ხარ? არ მომეკარო, თორემ მოგკლავ!

ვაჟა ასლამაზიშვილი

მამა, შენ არ ხარ?

კლაუს მიულერი

ვინ ხარ? გიჟი ხარ?

ვაჟა ასლამაზიშვილი

მეშახტე ვარ.

კლაუს მიულერი

საიდან ხარო, რა თქვი?

ვაჟა ასლამაზიშვილი

საბჭოთა კავშირიდან. საქართველოდან.

კლაუს მიულერი

საბჭოთა კავშირი? არ გამიგია. რა არის, რა გაერთიანება?

ვაჟა ასლამაზიშვილი

მიყვარს მხიარული ხალხი!

კლაუს მიულერი

მამ, ავსტრიელი არა ხარ? დასწყევლოს ეშმაკმა ეს ავსტრიელები. ავსტრიასთან ომი დამთავრდა. როგორც იქნა, პრუსიის გარშემო გერმანულმა მიწებმა გაერთიანება დავიწყეთ. მათ კი გერმანიის წინააღმდეგ შეკრეს პირი.

ვაჟა ასლამაზიშვილი

მე ქართველი მეშახტე ვარ.

კლაუს მიულერი

კლაუს მიულერი. ჩრდილოეთ რაინ ვესტფალიიდან. გერმანელი მეშახტე ვარ.

ვაჟა ასლამაზიშვილი

მე ვაჟა ასლამაზიშვილი.

კლაუს მიულერი

როგორ მოხდა, რომ შენ ქართველი ხარ და გერმანულად ლაპარაკობ? სად ისწავლე გერმანული ენა?

ვაჟა ასლამაზიშვილი

შენ ქართული სად ისწავლე?

კლაუს მიულერი

შენთან, საქართველოში, რომელი წელია?

ვაჟა ასლამაზიშვილი

ჩემთან, საქართველოში, ათას ცხრაას ოთხმოცდათერთმეტია.

კლაუს მიულერი

ჩემთან ათას რვაას სამოცდაექვსი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მაგრამ შეიცადეთ! ვაჟა ასლამაზიშვილი და კლაუს მიულერი კედელს ფრთხილი ნაბიჯით სცილდებიან, უკან იხევენ, რამეთუ კედელი ინგრევა და იქიდან ინგლისელი და უკრაინელი მემახტეები ჩამოცვივდებიან. ინგლისელის სახელია ჯონ ტეილორი, ხოლო უკრაინელისა – პეტრო ბოიკო. ახლად ჩამოვარდნილები ჰადესის სამფლობელოს მოათვალეობენ და აღმოაჩენენ, რომ მოხვდნენ იქ, სადაც ჯერ არ ყოფილან. მათ წინ ორი უცხო ადამიანი დგას. მემახტეები თითქოს ერთმანეთს სწავლობენ, აკვირდებიან. შემდეგ ხვდებიან, რომ ერთი გორისა არიან და მხურვალედ გადაეხვევიან.

პეტრო ბოიკო

მე პეტრო ბოიკო ვარ. აღმოსავლეთ უკრაინიდან, ქალაქ მოლოდოგვარდიელიდან. ეს ლუგანსკის ოლქშია. მეც თქვენსავით მემახტე ვარ.

ჯონ ტეილორი

ჯონ ტეილორი. ჩრდილოეთ ინგლისიდან, იორკშირიდან. მემახტე ვარ, უკვე მესამე თაობა.

პეტრო ბოიკო

ჩვენ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნიდან ვართ, არამედ სხვადასხვა ეპოქიდანაც! ასე არაა?

ჯონ ტეილორი

მართალია, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთის გვესმის. ჩვენ ისე ვუგებთ ერთმანეთს, არც თარჯიმანი გვჭირდება და არც ტექტერი!

კლაუს მიულერი

ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. ვბურღავდი. მერე, თითქოს, სამთო დარტყმა იყო – ხრეში შემეყარა, ქარი წამოვიდა ჩემკენ და აქ ჩამოვარდი, აი, თქვენსავით. ვაჟა აქ გავიცანი.

ვაჟა ასლამაზიშვილი

საბჭოთა კავშირი ჩემ თვალწინ დაიშალა და რესპუბლიკები დამოუკიდებელი ქვეყნები გახდნენ. ამბობენ, დამოუკიდებელ საქართველოში შახტები უკეთ ამუშავდებიანო, ქვანახშირს ჩვენ თვითონ გავყიდითო და შრომა მეტად დაფასდებო. რა ვიცი..., მე კი არ მჯერა... შრომა საბჭოთა კავშირის დროს არავის უნდოდა და დამოუკიდებელ საქართველოში ვის დასჭირდება?

პეტრო ბოიკო

საბჭოთა კავშირი მე არ მახსოვს, მე უკვე დამოუკიდებელ უკრაინაში დავიბადე. ჩემთან, უკრაინაში, ორიათას თვრამეტი წელია და ახლა რუსებს ვეომებით.

ვაჟა ასლამაზიშვილი

მაშ, ეგ ომი ჩვენც გველის?

ჯონ ტეილორი

თქვენ რომ ინგლისელები იყოთ, ვიტყოდი, რომ ყველაფერი ტექტერის ბრალია, მაგრამ ახლა რა ვთქვა? ერთი მითხარი, ძმობილო, მარგარეტ ტეტჩერს რა მოუვა? მოკვდება მალე? შენ ალბათ, გაინტერესებს, ჩემთან რომელი წელია. ახლა ათას ცხრაას ოთხმოცდა ოთხია.

ვაჟა ასლამაზიშვილი

ჩვენთან, საბჭოთა კავშირში, ტეტჩერს `პოლიტიკურ მეძავს~ ეძახდნენ.

ჯონ ტეილორი

დასწყევლოს ეშმაკმა! მაშ, შენ იცი ტეტჩერის შესახებ? მითხარი, რა ბედი ელის? ახლა მთელი ინგლისი გაფიცულია. გაფიცვა მეშახტეებმა დავიწყეთ. ტეტჩერის თავს ვითხოვთ. გადადგება?

ვაჟა ასლამაზიშვილი

არ მინდა გული დაგწყვიტო, მაგრამ შარშან, ოთხმოცდაათში, პრემიერმინისტრი იყო.

ჯონ ტეილორი

ხომ არ იცი, როდის მოკვდება?

ვაჟა ასლამაზიშვილი

ჩვენ უფრო მოსკოვი და მის ირგვლივ მომხდარი ამბები გვანტერესებს. მაგრამ, ისეთი პირი უჩანს, რომ...

ჯონ ტეილორი

ცოცხალია!

კლაუს მიულერი

გული არ გაიტეხო, ჯონ ტეილორი. მონარქებს დიდი ხანი უყვართ ტახტზე ჯდომა!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჯონ ტეილორი გონმიხდილი ჯდება.

ქორო

არა, ისეთი სუსტი არ არის, რომ გული წაუვიდეს, მაგრამ არ მოელოდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები ხშირად რეალობას სცილდებიან და იმას იჯერებენ, რასაც გაიძახიან. აქციაზე მოსულ ადამიანს საკუთარი სიმართლე აქვს. მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვებს სიმართლის ძალას ანიჭებენ, მაგრამ ეს *სიმართლე* რწმენად რომ გადაიქცეს, ამას გამოძერწვა უნდა. *სიმართლე* უნდა გამოიძერწოს. ისე არ აგდია... არც აქციაზე და არც ტელევიზორთან, არც გაზეთში და არც ინტერნეტგვერდზე, არც რადიოში და არც სოციალურ ქსელში. აი, აქციის ლიდერები მომიტინგეებს ამაში ეხმარებიან: *სიმართლის* რწმენად გადაქცევაში. აი, ასეთი კაცია ჯონ ტეილორი ზედმეტ სახელად `რევოლვერი~. უშიშარი კაცი. მიუხედავად სამართლიანობის მძაფრი შეგრძნებისა – ჯიუტია. სწორედ ამ სიჯიუტემ გამოაცალა ძალღონე ფეხებიდან და მიწაზე დასვა.

პეტრო ბოიკო

ვინ არის ტეტჩერი?

ჯონ ტეილორი

ბრიტანეთის პრემიერმინისტრია. ჩვეულებრივი, მუშათა კლასიდან მთავრობაში შემვრა და კაპიტალისტების დავალებებს ასრულებს. ყველა შახტის დაკეტვა უნდა.

კლაუს მიულერი

რატომ?

ჯონ ტეილორი

ამბობს, რომ ქვანახშირი აღარავის სჭირდებაო და სახელმწიფო ვერ შეგინახავთო.

ვაჟა ასლამაზიშვილი

ქვანახშირი ყველას სჭირდება. ჩემს მთავრობას, რომელიც კვირაში ერთ შახტს ხსნის, სჭირდება. ამბობენ, რომ ქვანახშირი მომავლის საწვავიაო. არ გეწყინოს, მეგობარო, მაგრამ შენი პრემიერმინისტრი იდიოტია!

ჯონ ტელიორი

მიტინგებიდან ყოველდღე ამას ვყვირი.

კლაუს მიულერი

უკაცრავად! თუ ასე კარგად იცით, რა მოხდება, იქნებ მეც ჩამაყენოთ საქმის კურსში? ყველაზე `ბველი` თქვენ შორის მე ვარ. ვიცი, სულელურად ჟღერს, მაგრამ ეს-ესაა ავსტრიელებთან ომი დავამთავრეთ და გერმანული მიწების გაერთიანება დაიწყო. იქნებ მითხრათ, რა ბედი ეწევა გერმანიას?

ვაჟა ასლამაზიშვილი

გერმანია გაერთიანდება, შემდეგ ორ ომში გაეხვევა, შემდეგ დაიშლება და ისევ გაერთიანდება.

კლაუს მიულერი

Gü.¹

სურათი მეოთხე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ამასობაში სხვა მხრიდან სწრაფად შემორბის ცერბერი. დარბის აქეთ-იქით. გეგონება, ვიღაცას დასდევსო. სულელებსო თუ თანამოაზრეებსო... ვერ გაიგებ. ცერბერს დინჯად შემოჰყვება ჰადესი.

ცერბერი

მოზრბანდით, დიდო ჰადეს. მინდა, შენი თვალით იხილო, რა ხდება იქ, სადაც ცოტა ხნის წინ დამწვარი ქვის სუნი იდგა და მტვრით აგვევსო თვალები.

ჰადესი

ფრთხილად იყავი, მცირედ მორწმუნე, ემანდ მაგ ჩირაღდნით თვალები არ გამომიწვა. ცერბერ, სად არის ჩემი ტახტი?

ცერბერი

აქ არის, დიდო ჰადეს.

ჰადესი

კიდევ გადადგი? ნეტავ ვიცოდე, რას ერჩი? ტახს ხელი არ ახლო-მეთქი, ვთქვი?

ცერბერი

დიახ, დიდო ჰადეს.

¹ Zalian kargi.

ჰადესი

ვერ ვიტან, როდესაც შემოვდივარ და ტახტი თავის ადგილას არ დგას! ძნელია შენთვის ამის გაგება?

ცერბერი

მინდა დაგარწმუნო, დიდო ჰადეს, რომ გარეწარ ჰერაკლეს არაფერი დაჰკლებია და კვლავ მზაკვრულად გვიპირებს მახის დაგებას. ეს სკამი, მან გადადგა.

ჰადესი

როგორ, ჰერაკლე კიდევ ცოცხალია?!

ცერბერი

მკვდარია და ახლავე დარწმუნებით!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ცერბერი შეშდება. ასე მხოლოდ შემინებული მსახურები ჩერდებიან ხოლმე. რადგან მოულოდნელად კლდეში ღრმული შეამჩნია.

ცერბერი

დიდო ჰადეს..., ეს რა ვნახე!

ჰადესი

მაინც რა ნახე, ცერბერ?

ცერბერი

მას შემდეგ, რაც გარეწარმა ჰერაკლემ მომიტაცა და მეფე ევრისტევს მიმგვარა, რა უნდა მიკვირდეს, მაგრამ მაინც.....

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ცერბერი ხან ერთ ხვრელს ანათებს, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხან მეოთხეს. ჰადესი უახლოვდება. შემინებული ცერბერი ხმას ვერ იღებს. მუნჯივით დგას ჩირაღდნებით ხელში. ჰადესი კი ფიქრობს-ფიქრობს, ეჭვობს-ეჭვობს, ვარაუდობს-ვარაუდობს...

ჰადესი

ეს ჩემმა ძმამ, ზევსმა, თუ იცის?

ცერბერი

დიდი ჰადესის სამფლობელოში, ამ ქვესკნელში, კლდის გახვრეტას, გარეწარი ჰერაკლეს გარდა, ვერავინ შეძლებდა!

ქორო

აი, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე ღმერთებისა და ადამიანების გართობას!

ცერბერი

ეს ჯერ კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც მელის. თუ კიდევ ერთხელ ძალივით დამაბა, თავი იღლიაში მომიგრისა, ფეხები კისერზე გადმომილაგა, ყურები ხელებზე დამილაგა და თმით მითრია; თუ კიდევ ერთხელ მცემა, უშვერი სიტყვებით მაგინა და დამამცირა, როგორც მორალურად, ისე ზნეობრივად, მე არ ვიცი..., მე ვეღარ გადავიტან კიდევ ერთხელ ევრისტევსის სასახლეში სტუმრობას.

ჰადესი

მართლაც, და... ჰერაკლეს მეტი ამას ვინ შეძლებდა?

ცერბერი

ეგ... დამპალი, გარეწარი ჰერაკლე..... ხომ დამიცავთ, ხომ არ გამწირავთ?

ჰადესი

დამშვიდდი, დამშვიდდი,... შენს თავს აღარ გავატან....

ცერბერი

დაურეკეთ, დაურეკეთ თქვენს ძმას სასწრაფოდ.

(მაცნე მობილურ ტელეფონს აწვდის ჰადესს. ჰადესი ტელეფონს გამოართმევს, რეკავს).

ჰადესი

რა ვქნა? არ იჭერს!

ცერბერი

ფეისბუკზე მისწერეთ.

ჰადესი

ფეისბუკი არ აქვს. ან სხვისი სახელითაა.

ცერბერი

მაშინ მესინჯერში მისწერეთ.

ჰადესი

ნომერი ხომ არ გამოცვალა?

ცერბერი

ღმერთები ნომრებს არ ცვლიან, დიდო ჰადეს.

ჰადესი

(ტელეფონზე რეკავს) კიდეც ვცდი...

ცერბერი

ტელეფონი ხომ არ გამოცვალა?

ჰადესი

ოოჰ!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჰადესი ხელით ანიშნებს, ხმა გაიკმინდოს და ნერვები არ მოუშალოს.

ქორო

იქნებ ამ ხელის აქნევით ჰადესმა ცერბერს ანიშნა, რომ ჰერაკლესთან მარცხი აპატია? იქნებ ხელის ამ მოძრაობით ჰადესმა ცერბერს ანიშნა, რომ ეს მას არ დავიწყებია? ამიტომ, როდესაც ცერბერმა კვლავ გამოავლინა ხასიათის

საშინელი თვისება - საკუთრი ნათქვამის უარყოფა და საწინააღმდეგოს თქმა - ჰადესი ხელის ერთი აქნევით შემოიფარგლა.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ეტყობა, ტელეფონის ყურმილის მეორე ბოლოს ზევსის ხმა გაისმა. ზევსის ხმა მეხვიით ისმის, იგი ყოვლისმომცველი და შემაშფოთებელია.

ზევსის ხმა

დაა.....

ჰადესი

(ტელეფონში) ალო, ზევსუს, შენ ხარ?

ზევსის ხმა

ჰადეს, შენ ხარ, ძმაო?

ჰადესი

როგორ ხარ, ძმაო? რამდენი ხანია შენი ხმა არ გამოიგია. ხომ ხარ კარგად? ხომ ყველაფერი რიგზე გაქვს?

ზევსის ხმა

კი, კი, ყველაფერი კარგადაა... თუ არ ჩავთვლით იმ მცირედ გარემოებას, რომ საქმე არა მაქვს. (იცინის)

ჰადესი

(უფრო ხმამაღლა იცინის, ცდილობს ძმის სიცილის ხმა გადაფაროს) ჰა-ჰა, შენ წარმოიდგინე, არც მე!

ზევსის ხმა

მაგას რა სჯობს, ძმაო ჰადეს. მაგაზე კარგი ამბავი რა უნდა იყოს? მთის კენწეროზე უსაქმოდ წოლა და მზის ყურება, რომელიც ვიღაცისთვის სათაყვანებელი ბურთია, სხვისთვის კი თავის ტკივილი. მაგრამ მოვეშვათ ფილოსოფიას. სასიამოვნოა იმის გაგება, რომ ცაშიც და მიწისქვეშეთშიც სიწყნარეა.

ჰადესი

მთლად სიწყნარე არ უნდა ერქვას იმას, რაც ჩემთან ხდება.

ზევსის ხმა

რაო? არ ისმის კარგად. ალო...

ჰადესი

ალო, ახლა გესმის, ალო?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) დადის ერთი კუთხიდან მეორეში. თითქოს ეს სიარული ტელეფონს სიგნალის დაჭერაში ეხმარებოდეს. ცერბერი კიდევ კუდში ნერვიულად დაჰყვება მბრძანებელს და მის თითოეულ წარმოთქმულ სიტყვას იმეორებს. მაგალითად: `ალო...~, `ზევს, ახლა გესმის?~ `ალო, არ იჭერს..?~ და ასე შემდეგ.

ზევსის ხმა

ალო, ალო.....

ცერბერი

`ალო, ალო...~ არ იჭერს, არა? აბა, აქ მოდი, დიდო ჰადეს, აქ დადექი....

ჰადესი

ზევს, საქმე ისაა, რომ..... ალო.....

ცერბერი

`საქმე ისაა, რომ... ალო...~ არა, მანდ არ დაიჭერს, იქით გადი....

ჰადესი

ზევს, გესმის? ალო... ზევს, აქ, ჩემთან, ვიღაცამ კლდე ამოჭრა და უსახელოდ მესტუმრა. ერთი შეხედვით არაფერი, თუ არ ჩავთვლით ოთხ ნახვრეტს, რომელიც გამიკეთეს და მარტო შენ უწყი, სად მიგვიყვანს კლდეში ნახვრეტები. მაგრამ თავად ეს კლდის მთხრელები საშიშნი არ უნდა იყვნენ, თუ არ ჩავთვლით ცერბერის მიერ გამოთქმულ ეჭვს, რომ ჩემს სამფლობელოში ამ ოთხი მთხრელით სტუმრიანობა არ დამთავრდება. ამიტომ მინდა გკითხო: ხომ არ იცი, ვინ არიან ეგრეთ წოდებული მთხრელები? შენ ხომ არ გამოაგზავნე? ან იქნებ დემეტრას ოინებია და ჩემი ცოლის წაყვანა უნდა? სიდედრია, თუ მტერია, ვეღარ გავიგე. ალო, ზევს, გესმის?

ზევსის ხმა

სიმართლე გითხრა, ვაპირებდი თქმას, მაგრამ გადამავიწყდა. დრომ ისე გაირბინა, ვერც კი შევამჩნიე. ხომ იცი, იმდენი საქმე მაქვს, ვეღარ ვასწრებ ვერაფერს... ეგენი მემახტეები არიან და მე გამოვაგზავნე. შენი ცოლის - პერსეფონეს წამოსაყვანად მოვიდნენ.

ჰადესი

რატომ, რას მერჩი? მე და ჩემს პერსეფონეს გვიყვარს ერთმანეთი.

ზევსის ხმა

რატომ მოიტაცე? ღმერთი ხარ თუ შარაგზის ყაჩაღი?! მოსულიყავი კაცურად, ხელი გეთხოვა და ვინ იტყოდა უარს? ხომ იცი, დედამისი, დემეტრა, რა ხასიათის ქალია?

ჰადესი

ჩემს პერსეფონეს არ ეკითხებით? ჩემი პერსეფონეს აზრი არ გაინტერესებთ?

ზევსი

ჰადეს, მე სულ არ მაინტერესებს, პერსეფონე სად იქნება. იმდენი შვილი მყავს, ვერ მომივლია. სიდედრს დაელაპარაკე. იქნებ საერთო ენა გამონახო. აბა, კარგად მეყოლე. არ მოიწყინო, ჰადეს. მანდ მოსული ბევრი მინახავს და გამოსული - თითქმის არავინ.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ზევსი ყურმილს გათიშავს. ჰადესი მობილურ ტელეფონს ცერბერს აწვდის. ცერბერი ყურმილს ყურს მიადებს, დარწმუნდება, რომ ზევსმა ყურმილი გათიშა, შემდეგ აკუმულატორს ხსნის და დაშლილ ტელეფონს სხვადასხვა ჯიბეში ინახავს. ამის შემხედვარე, ქორო ცერბერთან მიდის და ჯიბიდან დაშლილ მობილურ ტელეფონს ამოუღებს. ცერბერი უკმაყოფილოა, მაგრამ ხვდება, რომ ქოროსთან ჭიდილის დრო არ არის. თანაც, ტელეფონი ხომ ქოროსია?

სურათი მეხუთე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) იქ, სადაც მეშახტეები დავტოვეთ, მიდიან ჰადესი და მისი მსახური ცერბერი.

ქორო

მათ დანახვაზე მეშახტეები მიხვდებიან, რომ მიწისქვეშეთში, მოკავშირეების გარდა, კიდევ არსებობენ მოწინააღმდეგენი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მსახური, როგორც ყველა მბრძანებლის წინ მორბენალი კვიცი, სიტყვით გამოვა. არადა, ვინ ეკითხებოდა?

ცერბერი

მეისალმეთ მიწისქვეშეთის დიდ მბრძანებელს – ჰადესს! მე მისი მსახური ვარ, ცერბერიუსი.

ვაჟა ასლამაზიშვილი

თუ შეიძლება, გაგვაგებინეთ, სად ვართ და რატომ მოვხვდით აქ.

ცერბერი

აკი გითხარით, მიწისქვეშეთში-მეთქი.

პეტრო ბოიკო

ჰადესი ხომ მითია?

ცერბერი

დიდი ჰადესი თუ მითია, მაშინ თქვენ ფერფლი ყოფილხართ!

კლაუს მიულერი

ჩემი შვილი, ჰაინცე, მეუბნებოდა, რომ ძველ ბერძნებს ჰყავდათ ღმერთი ჰადესი, რომელიც მიწისქვეშეთის მბრძანებელი იყო. და მას ჰყავდა მსახური, რომელსაც კისერზე ძაღლის სამი თავი ედგა, ხოლო კუდის ნაცვლად, მრავალი გველი ამოსვლოდა.

ცერბერი

თქვენი შვილი, პატარა ჰაინცე, უაღრესად დაკვირვებული და ჭკვიანი ბიჭია, ეჭვიც არ მეპარება. მაგრამ შეგიძლიათ გადასცეთ, რომ ეს ასე არაა?

ჰადესი

ერთი სიტყვით, ვიცით, რა საქმეზეც ხართ მოსულნი. თქვენ ზევსმა გამოგზავნათ. გინდათ, რომ ჩემი პერსეფონე მოიტაცოთ და დედამისთან დააბრუნოთ. ასეა? ასეა! ბევრი გადაგიხდათ? ჩვენ მეტს გადაგიხდით! ბევრი გაგიკეთათ? ჩვენ მეტს გაგიკეთებთ! ბევრი შეგპირდათ? ჩვენ მეტს შეგპირდებით! ბანკში ვალი გაქვთ? გადაგიხდით! პრობლემური სესხი გაქვთ? ამოვიღებთ! მეზობელთან დავა გაქვთ? მოგიგვარებთ! საგადასახადოსთან პრობლემები გაქვთ? დავალაგებთ! სამსახურში დაწინაურება გინდათ? დაგაწინაურებთ! და რადგან არც მკვდრებში წერიხართ და არც ცოცხლებში, უნდა მითხრათ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეს უაზრო დავალება აღარ შეასრულოთ.

ჯონ ტეილორი

ჩვენს სულებს ყიდულობენ! ყველა მთავრობა ასე იწყებს. სუსტ წერტილში გირტყამს!

ცერბერი

მიწისქვეშეთში ხართ, დიდ ჰადესთან! მაღალი ზევსის ძმასთან.

ჯონ ტეილორი

მაშ, დაიმახსოვრეთ და გადაეცით ყველას. სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ შეასრულებთ, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

ცერბერი

ღმერთო, რატომ გამაჩინე დარაჯად?!

ჯონ ტეილორი

პირველი: მოვითხოვთ შრომის უფლებას!

ვაჟა ასლამაზიშვილი

კარგი აზრია, ჯონ! მაშ, ჩემი მოთხოვნაც ჩაწერეთ! შრომის უსაფრთხოება – ამას მოვითხოვ!

კლაუს მიულერი

გაუმჯობესდეს შრომის პირობები!

ჯონ ტეილორი

გაიზარდოს ანაზღაურება!

ჰადესი

მე ამისთვის დრო მჭირდება!

ვაჟა ასლამაზიშვილი

ემიგრაცია. გარბის ყველა ჩემი ქვეყნიდან. არ შეიძლება ასე! რაღაც უნდა იღონოს მთავრობამ. ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახლა სამშობლოს დატოვება შეიძლება? ამიტომ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.

კლაუს მიულერი

ამ ომებმა და დაუსრულებელმა არეულობამ არასტაბილური გახადა ჩვენი ყოფა. ხვალინდელი დღის მეშინია. არ ვიცი, რა მოხდება, როგორ მოხდება. რა ვაჭამო ჩემს ცოლ-შვილს. ერთ დღეს მშვიდობაზე ფიქრობ, მეორე დღეს ომია. ასე არაფერი გამოვა. თუ სტაბილურობა არ იქნება, ქვეყანაც არ განვითარდება!

პეტრო ბოიკო

მთავარი უბედურება უნდობლობაა. ჩვენ, უბრალო ხალხი, ყოველთვის ვსკერზე ვრჩებით! მთავრობაში ვინც შედის, ის მაღლა და მაღლა ადის. ზემოდან გვიყურებს და ჩვენზე, უბრალო ხალხზე, არავინ ფიქრობს! მთავრობები დიდ ფინანსურ პირამიდებს ურიგდებიან და მალე რამდენიმე კომპანიის ხელში აღმოჩნდება მთელი სამყაროს სიმდიდრე. ეს დაუშვებელია! რამდენიმე ოლიგარქმა უნდა გვიკარნახოს, როგორ ვიცხოვროთ? რა ვჭამოთ? რა ვიყიდოთ? სახლები რით გავათბოთ? ძირს მონობა!

ჰადესი

კი მაგრამ, ეს ყველაფერი ჩემთან რა შუაშია?

ჯონ ტეილორი

შენ ხომ ღმერთი ხარ? შენი ძმა ხომ მთავარი ღმერთია? ჰოდა, გადაეცი ღმერთებს, რომ ისეთი მთავრობები დანიშნოს, ხალხს რომ გამოადგება, ისეთი კანონები დაწეროს, ადამიანებს რომ დაეხმარება. დაამხეთ კორპორაციები, წაშალეთ საზღვრები, გაათანაბრეთ შრომის პირობები, წაართვით ფული მდიდრებს და მიეცით ღარიბებს! გადაეცით ზევსს, ვინც ოლიმპოს მთაზე ზის და ყველაფერს განაგებს, პასუხისმგებელი ისაა. ამიტომ, მომავალში რაც მოხდება, ესეც მის კისერზეა!

ცერბერი

გავათანაბროთ ქალისა და მამაკაცის უფლებები!

ჰადესი

ცერბერ, შენს უფლებებს ვინმე არღვევს?

ცერბერი

პირიქით, მე ვარღვევ! ამიტომ, მივცეთ მამაკაცებს მეტი უფლება!

ჯონ ტეილორი

მიერთდებით, მეგობრებო? (მეშახტეები ერთხმად დაეთანხმებიან) და თუ ამ ყველაფერს არ შეასრულებთ, მიწისქვეშეთს ავაფეთქებთ. შეხედეთ, ასაფეთქებელი მასალა კი გვაქვს. მეშახტეები ვართ, ბოლოს და ბოლოს.

ჰადესი

კი მაგრამ, რომ ააფეთქოთ მიწისქვეშეთი, ყველაფერი წაიშლება!

ჯონ ტეილორი

წაიშლება? იცი, რა მოყვება აფეთქებას? ჩვენი მეგობრები, მათი სულები, ჩვენი თანამოაზრენი, ყველა შემოგვიერთდება! გამოვლენ თავიანთი სამალავიდან და მაშინ დაიწყება მეორედ მოსვლა! ჩვენ ყველაფერს დავიპყრობთ. მიწისქვეშეთიდან დავიწყებთ და ოლიმპომდე ავალთ!

ჰადესი

კი მაგრამ, აფეთქება რა საჭიროა. ეს კატასტროფაა. ასე არ შეიძლება.

ჯონ ტეილორი

აქამდე რა წესრიგიც დაამყარეთ, ის შეიძლება?

ჰადესი

წყალი რომ მოგცეთ, არ იქნება საკმარისი?

ცერბერი

წყალი ახლა ჩვენ უფრო გვჭირდება, დიდო ჰადეს.

ჰადესი

ყველა ცნობა, ყველა ანკეტა, ყველა ფაილი წაიშლება, დაიწვება, ფერფლს მიეცემა. მერე და, რა მოჰყვება ამას, იცით? მკვდრები გაცოცხლდებიან, სულები სხეულებს იპოვიან, ცოდვები ჩამოიწერება, წარმატებები დავიწყებას მიეცემა, შთამომავლობები წაიშლება, წესიერი უწყსოს გაუთანაბრდება, წმინდანი ცოდვილთან აირევა, ბარი მთას გაუსწორდება, მდინარე ცეცხლად გადაიქცევა, ცეცხლი კი ჩაქრება.

ჯონ ტეილორი

დროს საღამომდე გაძლევთ, თორემ აგაფეთქებთ!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჯონ ტეილორი, გამოცდილი რევოლუციონერი და მებრძოლი, დინამიკით შეიარაღდება და თავდაცვით პოზაში ჩადგება. მის ზურგს უკან სხვა მეშახტეები განლაგდებიან.

ცერბერი

მიწისქვეშეთი ევროპას ჰგავს. ჩამოსვლა ძნელია, წასვლა – კიდევ უფრო ძნელი.

ჰადესი

ახლავე ჩემს ძმას დავურეკავ. ზევსს გავაგებინებ ყველაფერს. (ცერბერს) გასწი, ჩირაღდნიანო, მოკალი სიბნელე.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ცერბერი და ჰადესი სწრაფი ნაბიჯით გადიან. სიჩუმეს კლასს მიუღერი არღვევს.

კლასს მიუღერი

ჩვენთან, ჩრდილოეთ ვესტფალიაში, ახალგაზრდები ომში გაიწვიეს. დაწყველილმა ავსტრიელებმა და მისმა ამბიციებმა უამრავი მემახტის სიცოცხლე შეიწირა. მე სამი შვილი მყავს – ორი გოგო და ერთი ბიჭი. ჩემი ბიჭი ოცის შესრულდა თუ არა, ჯარში გაიწვიეს და მეც გავყვევი. მაგრამ, საბედნიეროდ, ერთ კვირაში ავსტრიელებთან ზავი დაიდო და ჩვენს შახტებს დავუბრუნდით. ახლა მშვიდობის გვეშინია. ნეტავ სად არის ახლა ჩემი შვილი?.. ხომ კარგადაა?.. ერთად ვბურღავდით, გვერდიგვერდ ვიდექით...

პეტრო ბოიკო

შენ მშვიდობის გეშინია, და ჩემთან, უკრაინაში, ომია. შახტების ნახევარზე მეტი რუსებმა წაიღეს. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ომი არ შეგვეხება, მაგრამ ღამღამობით, როდესაც ბომბები ცვივა, გვირახები ზანზარებს. ეს გვაშინებს. აქეთ შახტები იკეტება, იქით ომია. რა ვქნათ ჩვენ, მემახტეებმა? ჩვენ ხომ მხოლოდ ბურღვა ვიცით! თუ ჩვენი შახტი დაიკეტა, ან ჯარში უნდა წავიდე, ან ცოლი მოვიყვანო.

ვაჟა ასლამაზიშვილი

არ გაინტერესებთ, სად ვართ? მიწაში ან მიწაზე, ან დედამიწაზე, ან მიწისქვეშეთში? რატომ მოვხვდით აქ? ვინ არის ჩვენი პატრონი – ღმერთი თუ მიწისქვეშეთის გამგებელი? დაივიწყეთ, რაც ზემოთ დატოვეთ. ჯერ უნდა გავიგოთ, აქ რატომ მოვხვდით! საბჭოთა კავშირი დაიშალა და ისეთი პირი უჩანს, რომ ახალი ქვეყანა იზადება. რაც თავი მახსოვს, ყველაფერს მოსკოვი წყვეტდა – ჩვენი დიდი ჩრდილოელი ძმა. მაგასთან მივდიოდით და ისინი გვეუბნებოდნენ, რა უნდა გვექნა, როგორ უნდა გვექნა. ახლა? ეს ძმა აღარ არის. მარტონი ვართ და დავიწყეთ ომი. არავინ იცის, გადავურჩებით თუ არა. ადრე შახტში ჩასვლა სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი იყო – ჩახვიდოდი და არ იცოდი, ცოცხალი დაბრუნდებოდი თუ არა. ახლა კიდეც, ზემოთ დარჩენა უფრო საშიშია. იმიტომ, რომ სამოქალაქო ომმა მტრისა და მოყვარეს გარჩევა არ იცის. შახტში კი არ ისვრიან. იქ ომი არ არის და მეშინია მომავლის.

პეტრო ბოიკო

მე ბავშვობაში ასტრონომობა მინდოდა. მსურდა, ცაში ვარსკვლავებისთვის მეთვალთვალა და წიგნები დამეწერა. მაგრამ ჩემს სოფელში ამის საშუალება არ მომეცა.

ვაჟა ასლამაზიშვილი

არც ახლაა გვიანი. დაბრუნდებით და იფრინეთ, რამდენიც გინდათ.

პეტრო ბოიკო

არა, ასტრონომობა ფრენას არ უკავშირდება. მე მეცნიერი უნდა გამხდარიყავი. მახსოვს, როდესაც რეი ბრედბერის წიგნი წავიკითხე, მას შემდეგ მე და ჩემი საცოლე..... ჰო, მართლა, მე უნდა დავბრუნდე, ცოლი უნდა მოვიყვანო!

კლასს მიუღერი

არსად არ წახვალ. გამორიცხულია! ავსტრიასთან ომი დასრულდა. შვილები და ცოლი დაბინავებული მყავს. არც მე მეჩქარება არსად.

ვაჟა ასლამაზიშვილი

შენ სად გეჩქარება?

პეტრო ბოიკო

საცოლე მელოდება!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) პეტრო კედელთან მიდის. იმ ნახვრეტის პოვნა უნდა, საიდანაც შემოვიდა ჩქარობს.

ქორო

თუმცა, პეტრომ ვერ გაითვალისწინა ერთი უბრალო დეტალი: ვიდრე იგი აქ მოხვდებოდა, სანამ საცოლე ეყოლებოდა, სანამ ასტრონომობას მოისურვებდა, მანამდეც ყოფილან აქ სხვა მეშახტეები, საკუთარი სიცოცხლის, უფლებების, უსაფრთხოების, უკეთესი შრომის პირობებისა და მეტი ანაზღაურების მოთხოვნით. მანამდეც მოუტაციათ ჰადესის ცოლი, მანამდეც დაბრალვია ეს მეშახტეებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად ლურჯ იალქნებს თხრიან. და ამის დასტურად, რომ ეს მართლაც ასეა, კლდეში უამრავი ხვრელი ჩნდება, ერთმანეთის მიყოლებით, ერთმანეთზე, ერთმანეთთან, ერთმანეთისთვის. და არავინ იცის, რომელ ხვრელს უნდა მიმართოს უკრაინელმა პეტრო ბოიკომ, რადგან აქ მოხვედრა ძნელია, ხოლო წასვლა უფრო ძნელი. სწორად თქვა ცერბერმა.

ვაჟა ასლამაზიშვილი

ჩემს სამშობლოში, შახტში, კვირაში ერთი მეშახტე იღუპება. ადრე თუ გვიან მაინც მოგვკვდები და აქ მოვალ. ასე რომ, მე არსად წამსვლელი არ ვარ. დავრჩები და ფეხს არ მოვიცვლი! რადგან აქ მოვხვდი, ესე იგი, ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა. ასე არ არის, ჯონ?

ჯონ ტეილორი

მე ბარიკადებზე ტყუილად ვდგავარ. ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ თურმე და ეს პროტესტი ისე ჩაივლის, რომ შახტები მაინც დაიხურება. მაშინ ისლა დამრჩენია, რომ უკან არც მე დავბრუნდე და შენთან ერთად დავრჩე.

ვაჟა ასლამაზიშვილი

მით უმეტეს, არც კი ვიცი, რომელია თურმე ჩემი გზა.

ჯონ ტეილორი

როგორც ჯონ ლენონი ამბობდა, როდესაც თავზე ექვსი ფუტი მიწა გაყრია, ყველას უყვარხარ. ასე რომ, ერთად დავრჩეთ, ძმობილო.

კლაუს მიულერი

ეტყობა, ეს ყოფილა ჩემი ბოლო.

ვაჟა ასლამაზიშვილი

დავჯდები აქ, მოვნახავ ჩემს მშობლებს.

ჯონ ტეილორი

მე კიდევ, ჯონ ლენონს ვნახავ. სიცოცხლეში ერთხელ შევხვდით. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. ჩამოსული იყო, მაშინაც გაფიცვა გვქონდა. მხარში დაგვიდგა, დახმარებას შეგვპირდა, მაგრამ მალე მოკლეს. აქ მაინც ვნახავ. არსად არ გვეჩქარება, დავსხდებით და დავილაპარაკებთ.

კლაუს მიულერი

ეს-ესაა გავიგე, რომ ჩემი სამშობლო კვლავ გაერთიანდება და იმპერია გახდება. შემდეგ ორი საშინელი ომის ორომტრიალში გაეხვევა, სადაც ჩემი შვილი ან შვილიშვილები იომებენ. შემდეგ ისევ დაიშლება ორ ნაწილად და ბოლოს, ისევ გაერთიანდება. ამასობაში, დაილუპება ათეულობით მილიონი გერმანელი. სიკვდილის ზარი ჩემს ოჯახსაც ვერ აუვლის გვერდს. დიდი ალბათობით. ზედმეტად დრამატული ისტორია ხომ არ მომიყვებით?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ვაჟა ასლამაზიშვილი საბურღ მანქანას, როგორც ხმაღს, ისე მოიმარჯვებს.

ვაჟა ასლამაზიშვილი

გაჩვენო ჩემი `ჭრელა` როგორ მუშაობს?

ქორო

`ჭრელა` მისი საბურღი მანქანის მეტსახელია, რომელსაც დილაკზე თითის დაჭერით რთავს.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ვაჟა ასლამაზიშვილი კლდეს ეკვეთება და როგორც ლომი ნანადირევს, ისე გლეჯს და ლუკმად არ ჰყოფნის ჰადესის სამფლობელოს კედელი. ამ ბრძოლის შემხედვარე, ჯონ ტეილორი საკუთარ მანქანას მოიმარჯვებს და ისიც კლდეს ეკვეთება. ისევ გამოდის, რომ კლაუსი ორი მეშახტის შუაში მოხვდა. კლდესთან მებრძოლი ორი მონსტრის გადაკვეთაზე. დამფრთხალი კლაუსი ერთ ადგილას შეშდება. ეტყობა, ასეთი საბურღი ხელსაწყოები პირველად ნახა. ქვა, ღორღი, მტვერი, ქვიშა, სილა და ხმაური ერთმანეთში ირევა. და შემდეგ ყველაფერი ჩუმდება. კლაუსი გაოგნებულია.

ჯონ ტეილორი

აბა? შენი როგორია?

კლაუს მიულერი

სამი წუთი ვქოქავ და ხუთი წუთი მუშაობს.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ქოქავს თავის მოძველებულ, დრომოჭმულ, ანტიკვარულ საბურღ მანქანას და კედელს ეკვეთება. კედელი კედლად რჩება და საბურღი მანქანა ძლივსძლივობით, გაჭირვებითა და წვალებით მოამტვრევს რამდენიმე ნატებს. სიჩუმეა. მეშახტეები ნახშირის გროვას დაჰყურებენ. აქეთ მცირე ზომის ნაყარია, იქით -დიდი. კლაუს მიულერი ვაჟა ასლამაზიშვილის საბურღი მანქანისკენ გაიწევეს და გამოართმევს. გერმანელი მანქანას ათვალერებს. ქართველი ანიშნებს, რომ დილაკს თითი უნდა დააჭიროს. კლაუს მიულერი დილაკს თითს აჭერს და საბურღი მანქანაც ირთვება. გერმანელი კედელს ამ საბჭოთა საბურღი მანქანით მიადგება და ამტვრევს. კლაუს მიულერი ექსტაზშია.

ვაჟა ასლამაზიშვილი

ამ მანქანით ჯერ კიდევ მამაჩემი მუშაობდა. რამდენი წელია გასული, იცი? ორმოცდაათ წელზე მეტია. მამაჩემი რომ ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს, მას მერე მემკვიდრეობით მე დამრჩა და აგერ... კვალავს, ამტვრევს... საქართველოში რაც ჯერ კიდევ მუშაობს, ყველაფერი კომუნისტებმა დატოვეს. სტალინისდროინდელი აპარატია. შეხედეთ! არ ანგრევს? ანგრევს! ვერ ხედავთ, სადამდე ჩამოანგრია? ერთი კია, სტალინი ახალგაზრდებს აღარ ახსოვთ. ჩემს შვილებს სტალინს ვერ უხსენებ! ტუჩებს კუმავენ. შვილიშვილებს კიდევ ეცინებათ... ამბობენ ისაო და ესაო. მაგრამ ვერ წაშლი ისტორიას. სტალინის მერე ანგრევენ და ანგრევენ ამ ქვეყანას და ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაანგრის. აგერ, მონდომეს დამოუკიდებლობა!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) კლაუსი ხან ვაჟას უყურებს, ხან საბურღ მანქანას. საკუთარ თვალებს არ უჯერებს – როგორ შესძლებია ერთ საბურღ მანქანას ამდენი. შემდეგ ისევ კლდის მტვრევას იწყებს.

ქორო

ყველაფერთან ერთად კედელს ისე აკვირდება, თითქოს იქიდან ვიღაცას ელისო.

ვაჟა ასლამაზიშვილი

მამაჩემს უნახავს სტალინი. დიახ, თვით სტალინი ნახა. მიწისქვეშეთში რომ იყო მამაჩემი, თურმე, მიწისქვეშეთის გამგებლისთვის უთხოვია, სტალინი მაჩვენეო და მასაც უჩვენებია. მამაჩემმა რომ ნახა სტალინი, უღვაშები მოპარსული ჰქონია. დიდ კუპრში იჯდა და მისი მსახური, ის ძალღვივთ ავი მსახური ბელადს ხარშავდა. სტალინი კიდევ წელს ზემოთ შიშველი ყოფილა და ლექსს ამბობდა: `ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა, ზამბახსაც გაჰღვივებოდა და თავს უბრიდა ნიავსა~. როდესაც მამაჩემი დაბრუნდა, მოყვა ყველაფერი და საგიჟეთში დააწვინეს. მერე დახვრიტეს ოცდაჩვიდმეტში. არ დაუჯერეს. აბა, ვინ აპატიებდა სტალინის შეურაცხყოფას? მე სახელი და გვარი გამოვიცვალე. ხალხის მტრის შვილი მეშახტეც კი ვერ გახდებოდა. არადა, მამაჩემი სიტყვის კაცი იყო.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) კლაუსი ჩერდება. ოფლს მოიწმენდს. ყურადღებით აკვირდება კედელს. შემდეგ საბურღ მანქანას ისეთი მოწიწებით უყურებს, გეგონება სადაცაა ქედს მოიხრისო. ბოლოს წყალ-ჩამდგარ თვალებს ვაჟას მიაპყრობს და ლექსს ამბობს.

კლაუსი

`თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს, თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა, სიკვდილის გზა არა არის ვარდისფერ გზის გარდა~.

ქორო

არ მჯერა! ნუთუ მეშახტის ჩაწითლებულ თვალებში `ვარდისფერ ცრემლს~ ვხედავთ? იქნებ მოგვეჩვენა?

ვაჟა ასლამაზიშვილი

ამიტომაც გადავწყვიტე მეშახტე გამოვსულიყავი და დედამიწის გულში ჩავსულიყავი, რომ მიწისქვეშეთი მეპოვა, იქ სტალინი მომენახა და მეკითხა, ნახა თუ არა მამაჩემი. მე მამაჩემის სიტყვებს სათუოდ კი არ მივიჩნევ, აცხონოს ღმერთმა, არა! ამით დავამტკიცებდი, რომ მამაჩემი ჭკუიდან არ გადამდგარა და ტყუილად დახვრიტეს. ახლა კი, ისეთი პირი უჩანს...

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ამასობაში ჯონ ტეილორი კლაუსის უძველეს საბურღ ხელსაწყოს ათვალიერებს. და აი, გაიხედეთ იქით! პეტრო ბოიკოს ფარ-ხმალი არ დაუყრია. გამალებით ეძებს თავის გზას. ხან ერთ ნახვრეტში შეძვრება, ხან მეორეში. ბოლოს კი გაუჩინარდება. თავისი სიჩუმით მეგობრების ყურადღებას მიიქცევს.

ჯონ ტეილორი

ჰეი, პეტრო. პეტრო ბოიკო.

ვაჟა ასლამაზიშვილი

სადღაც შეძვრა. ჰეი, ბოიკო, სად ხარ?

სურათი მეექვსე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

ქორო

რა ხდება ხოლმე ასეთ დროს? როდესაც მიწისქვეშეთში მოხვედრილი ოთხი მეშახტე ჰადესს ულტიმატუმს წაუყენებს და პირობების შესრულებას ელოდება? რა ხდება ხოლმე ასეთ დროს? მე გეტყვით! ასეთ დროს დგება სულებისა და თანამოაზრეების დრო.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) დგანან მეშახტეები და პირველი, მათ შორის ყველაზე ჭარმაგი, გამოცდილი და გაწამებული კაცი – ვაჟა ასლამაზიშვილი დაიძვრება.

ქორო

მაგრამ არა შინისაკენ, არამედ პირველ ნაბიჯს გადადგამს სიბნელისკენ, უსასრულობისა და უცოდინრობისკენ. მაგრამ ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტში დახვრეტილი ხალხის მტრის შვილისთვის ეს ნაბიჯი მხოლოდ მორიგი ნაბიჯია უსასრულობისკენ. ეს ნაბიჯი სევდიანი ნაბიჯია, რომელიც მოულოდნელობებს, ფათერაკებს და უმადურობას გამორიცხავს. ეს ნაბიჯი გამოცდილი, დალილი, შემფოთებული კაცის ნაბიჯია, რომელსაც საქართველოში იმდენი შვილი და შვილიშვილი დარჩა, თვლა აერია. და ახლა, როდესაც მის ქვეყანაში სამოქალაქო ომია, თანამომძენი ერთმანეთს კლავენ და თავად მიწისქვეშეთში მოხვდა, მას უნდა, ამ ერთი ნაბიჯით პასუხი გასცეს იმ შეკითხვებს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე დააგროვა. და ეს მორიგი ნაბიჯი კითხვის ნიშნისკენ გადადგმული ნაბიჯი უფროა, ვიდრე სიბნელეში, წყვდიადსა და სინესტეში გადადგმული ნაბიჯი. იმიტომ, რომ სიბნელე, წყვდიადი და სინესტე არაფერია იმასთან შედარებით, რაც ამ კაცმა გადაიტანა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტში, როდესაც ჩვიდმეტი წლის იყო. და თუ წარმოიდგენ, მაშინ, როდესაც მამამისი მიწისქვეშეთში მოხვდა, გაიცნო ჰადესი და მისი მსახური ცერბერი, დაინახა ულვაშებმოპარსული სტალინი, რომელსაც კუპრში ხარშავდნენ და იმის სანაცვლოდ, რომ ტკივილზე ეფიქრა, მოისმინა სტალინის მიერ ნათქვამი ლექსი და შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. ეს ამბავი მოყვა და მოუსმინეს, მაგრამ ფსიქიატრიულ კლინიკაში გაამწესეს, სადაც ოცდაოთხი საათი ბნელ ოთახში იყო დაბმული: შემდეგ მამა დახვრიტეს და დედა გადაასახლეს, და შვილმა, ანუ ვაჟა ასლამაზიშვილმა, სახელი და გვარი გამოიკვლა და მანაც შახტში დაიწყო მუშაობა მამამისივით იმიტომ, რომ ახალი შახტი იხსნებოდა და უპატრონო ორი წყვილი ხელი იყო საჭირო. და თუ ამას წარმოიდგენ, რაღამ უნდა გააკვიროს ვაჟა ასლამაზიშვილი? არაფერმა! და თუ ასეთი წარსულის კაცი ხარ, ეს ნაბიჯი ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯია, სხვა არაფერი!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) და გადადგა ეს ერთი ნაბიჯი ვაჟა ასლამაზიშვილმა სიბნელეში, წყვდიადსა და სინესტეში, რომელიც კითხვის ნიშნისკენ გადადგმული ნაბიჯი უფრო იყო! და მიბამეს სხვებმაც და სცენაზე ჩამოხვლდა. ანათებენ მხოლოდ ჩაფხუტებზე დამაგრებული ფარნები. როგორც შუბლზე ამოსული მესამე თვალი. ეს ფარნები ნელა მოძრაობენ. ბოდილობენ სცენის სხვადასხვა კუთხეში. და ბოლოს, სულ იკარგებიან. მაგრამ დაკარგვამდე გეჩვენება, რომ ეს ფარანი ოთხი მეშახტის კი არ არის, არამედ მეტია. ათი, ათასი, ათი ათასი თვალია. და ეს ფარნები დადიან, დადიან, დადიან... და ამ ფარნების მფლობელებს ხელში ცეცხლოვანი წერაქვები უჭირავთ. და ბოლოს, უჩინარდებიან.

ქორო

სცენა ცარიელია. მაგრამ მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სულელებითა და თანამოაზრეებითაა სავსე. არადა, სცენა ცარიელია! ეს რომ არა, არც კი ვიტყვოდი, მაგრამ განცდა ასეთია. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მაშ ასე. ყველამ ვიცით, რომ ეს სულელებისა და თანამოაზრეების სცენაა. ცარიელ სცენაზე ბრუნდება გერმანელი მემახტე, ხელში საკუთარი, ძველისძველი საბურღი მანქანა-წერაქვი უჭირავს. ერთი შეხედვით, ვილაცას მისდევს, მაგრამ ისეთი ჩქარი ნაბიჯიც არა აქვს, რომ სთქვა, მისდევსო. თუმცა, ამ სიარულს ვერც უმისამართო ბოდიას დაარქმევ.

კლაუს მიულერი

სამ წუთს დაქოქავ, ხუთს მუშაობს. სამ წუთს დაქოქავ, ხუთს მუშაობს....

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) და ასე იმეორებს, სანამ თვალს არ მოეფარება. არ ყვირის, არც ჩურჩულებს, არც ბრაზობს და არც ვინმეს რამეს უმტკიცებს.

კლაუს მიულერი

სამ წუთს დაქოქავ, ხუთს მუშაობს....

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) კლაუსი გადის. სცენა ისევ ცარიელია.

ქორო

მაგრამ რატომღაც გეჩვენება, რომ იმაზე მეტი ადამიანია აქ, ვიდრე ავტორმა იგულისხმა, ვიდრე მკითხველმა წარმოიდგინა და მაყურებელმა დაინახა.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მაგრამ სცენა ცარიელია!

ქორო

ატმოსფეროა ასეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) და სწორედ ასეთ ატმოსფეროში. სცენაზე შემოდის ვაჟა ასლამაზიშვილი – ქართველი მემახტე. ხელში მასაც საბურღი მანქანა უჭირავს და მიდის. ისიც თითქოს ვილაცას მისდევსო, მაგრამ არ მირბის. არც ჩქარი ნაბიჯით მიიკვლევს გზას. სცენას გადაკვეთს.

ვაჟა ასლამაზიშვილი

არ ანგრევს? ანგრევს! არ კვალავს? კვალავს! არ ანგრევს? ანგრევს! არ კვალავს? კვალავს!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ერთი შეხედვით, თავისთვის ამბობს, მაგრამ თან სხვის გასაგონად.

ქორო

შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ მთვარეულია და თვითონ არ იცის, რას ჩადის.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ყოველ შემთხვევაში, ამას იმეორებს და სცენიდან გადის. სცენა კვლავ ცარიელია. შემდეგ შემოდის ჯონ ტეილორი. მიზანმიმართულად მიდის. ვილაცის ნაკვალევს მისდევს, ან მიჰყვება. ისე გამოდის, რომ იქით მიდის, სადაც ვილაც ეგულება.

ქორო

ნეტავ, ვინ ეგულება? ალბათ ქართველი მემახტე ვაჟა ასლამაზიშვილი, რომელიც ეს-ესაა გავიდა. ან გერმანელი კლაუს მიულერი?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მაგრამ ჯონ ტეილორი ფეხს სხვა მიმართულებით აბიჯებს.

ჯონ ტეილორი

მთელი ინგლისი გაერთიანდება, გაიფიცება და მე ამას ვერ ვნახავ. მერე, ამას მოჰყვება ბრიტანეთის ხმა მთელ მსოფლიოში: ახალი ზელანდიიდან კანადის ჩათვლით. ის იქნება ძლიერი, ხმამაღალი, მაგრამ.....

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) სცენის სხვა მხარეს გადის. ერთსა და იმავეს იმეორებს. სცენა კვლავ ცარიელია.

ქორო

გადის სევდიანი... დათრგუნული...

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ბოლოს შემოდის პეტრო ბოიკო.

პეტრო ბოიკო

ცოლი მინდა მოვიყვანო და ომი ხელს მიშლის. მეუბნებიან, რა დროს ცოლია, ომიაო. მეუბნებიან, რა დროს ცოლია, ომიაო. არადა, ცოლი მინდა მოვიყვანო და ომი ხელს მიშლის.... ცოლი რომ არ მოვიყვანო, არ გამოვა.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ნელი ნაბიჯით ეს უკრაინელი მიჯნური სცენის შუაში დგება. ჩვენ გვიყურებს, მკითხველს და მაყურებელს. იწყებს სიმღერას. ჯერ ჩუმად, შემდეგ ხმას უმატებს.

ქორო

მისი სიმღერა მშვიდია, თანაგრძნობით სავსე. ის იმ ადამიანზეა, ვისი სახელიც სამად დაიშალა და საფლავი გაქრა. მღერის პეტრო ბოიკო მშვენივრად. მიუხედავად იმისა, რომ მის მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს არ ემღერება.

პეტრო ბოიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო....
გულამოსკვნილი ვჩიოდი,
სადა ხარ, ჩემო სულიკო?~
ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო...
გულის ფანცქალით ვკითხავდი
შენ ხომ არა ხარ სულიკო?~

სურათი მეშვიდე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) სცენაზე შემოდის ჰადესი და ცერბერი. ჰადესი ტახტს ეძებს, რომელიც კვლავ გადაწეულია. ცერბერი ტახტს სწრაფად მოარბენინებს და ჰადესი მაგიდასთან ჯდება. დიახ, მაგიდასთან, რომელიც მაღალტექნოლოგიური კომპიუტერული სისტემებითაა დახუნძლული. როგორც ელონ მასკის სამუშაო კაბინეტი, ან `NAთO~–ს შტაბბინის რომელიღაც საიდუმლო ოთახი, ან რაიმე ასეთი დაწესებულება, სადაც გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობენ. წესით, როდესაც მიწისქვეშეთის გამგებელი რეკავს, და მით უმეტეს, რეკავს საკუთარ ძმასთან, რომელიც ამავე დროს ყველაფრის გამგებელია და მას ჰქვია ზევსი, წესით, სრული სიჩუმე უნდა იყოს.

ქორო

მაგრამ ასე არ არის! პეტრო ბოიკოს მიერ დაწყებულმა სიმღერამ წარმატება ჰპოვა და მას სხვა მემახტეებიც აჰყვნენ. ისინი მღერიან და ამ სიმღერით ჰადესს ხელი ეშლება, აზრები ეფანტება და ნერვები ეწიწკნება. როგორ შეიძლება გავაგებინოთ, რომ გაჩუმდნენ? სად არის იმის დრო, ავუხსნათ, რომ მათი მომავალი ჰადესისა და ზევსის საუბარზე დამოკიდებული? ახლა ამის დროა? ახლა გართობის დროა?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მომღერლებთან ცერბერი მიდის.

ცერბერი

გაჩუმდით, ვერ ხედავთ, დიდი ჰადესი ზევსს ელაპარაკება!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მემახტეები სიმღერას წყვეტენ. ჰადესი კმაყოფილია. მაგრამ მოდი ვნახოთ, რას წარმოადგენს ჰადესის სამუშაო ოთახი? ეს ერთგვარი ოთახი-ხომალდია, წარმოუდგენლად ფერადი, შთამბეჭდავი და მიმზიდველი. ვერ მიხვდები, ეს კომპიუტერის ეკრანებია თუ კლდის ფრაგმენტი, რომელიც სცენის უკანა მხარეს იკავებს. ამ ეკრანზე გამოჩნდება ზევსი.

ჰადესი

ალო, ზევსუს, შენა ხარ?

ზევსი ეკრანიდან

მე ვარ, ძმაო ჰადეს. რასა შვრები, როგორ ხარ?

ჰადესი

აქ დამთავრდა სულებისა და თანამოაზრეების მორიგი სცენა.

ზევსი ეკრანიდან

რაო, რას ამბობ? არ ისმის შენი ხმა, თუ რაა?

ჰადესი

ძმაო ზევსს, თუ იცი, რას ემსახურებოდა ის?

ზევსი ეკრანიდან

რაზე კითხულობ, ძმაო ჰადეს? ვერ ვხვდები, რა სცენაზე მელაპარაკები.

ჰადესი

იმის შეგრძნება, რომ სცენაზე იმაზე მეტი ადამიანია, ვიდრე ავტორმა იგულისხმა და მკითხველმა წარმოიდგინა, აქ უნდა გაქრეს. ამ სცენაში ეს განცდა უნდა დამთავრდეს. ეს ატმოსფერო უნდა დასრულდეს!

ზევსი ეკრანიდან

შენ ის მითხარი, მოიტაცეს შენი ცოლი, თუ მოელაპარაკე?

ჰადესი

ჩემს ცოლს ვინ ჩივის, ძმაო ზევსუს! მაგრამ ის კია, რომ ამ ჟამიანობის დროს ოთხი მეშახტე მესტუმრა და სამყაროს ამოტრიალებას ითხოვენ.

ზევსი ეკრანიდან

წყალი რომ გავუგზავნოთ?

ჰადესი

უკვე შევთავაზე, მაგრამ უარზე არიან. ამბობენ, თუ პირობებს არ შეასრულებთ, მიწისქვეშეთს ავაფეთქებთო.

ზევსი ეკრანიდან

კი მაგრამ...

ჰადესი

მოთხოვნები იმდენად ბევრია, შესრულებას აზრი არა აქვს.

ზევსი ეკრანიდან

მერე და არ შევასრულოთ.

ჰადესი

მაშინ, აგვაფეთქებენ. მეშახტეები არიან. დინამიტი აქვთ.

ზევსი ეკრანიდან

მაშ, მოაგვარე ეგ პრობლემა. მე რა გავაკეთო? ვერა ხედავ, აქ რამდენი საქმე მაქვს?

ჰადესი

იმიტომაც გირეკავ, რომ შენი დახმარება მინდა. ან დამხმარე რაზმი გამოგზავნე, ან არადა...

ზევსი ეკრანიდან

მაშ, ცოლი არ უნდათ, არა?

ჰადესი

აქ რომ ააფეთქონ, წაიშლება ყველაფერი, დამთავრდება მიწისქვეშეთიც და ყველაფერი. ხომ ხვდები, ამას რა მოყვება?

ზევსი ეკრანიდან

არ ვიცი, არ ვიცი... ახლა რაზმებს რაც შეეხება, ვერ გვაქვს საქმე კარგად. არ მყავს რაზმები. იქნებ, რამენაირად მოელაპარაკო და დააშოშმინო. შენი ცოლი გაატანე. არ ვიცი, ცერბერი აჩუქე... ტახტი დაუთმე და ამოდი ჩემთან, ბოლოს და ბოლოს. მოიფიქრე რამე და დამიკავშირდი. ახლა კი უნდა გავიქცე. აბა შენ იცი. გამაგებინე, რას იზამ. მთავარია, ძმაო ჰადეს, ჩვენს მეშახტეებს (მაინერს~) არაფერი დაემუქროს. (ზევსი ეკრანიდან ქრება).

ცერბერი

აბა რისი ღმერთია ღმერთი, ღმერთო მაპატიე, თუ დახმარებას სთხოვ და უარს გეტყვის?

ჰადესი

ჩვენი თავის იმედად ვრჩებით.

ცერბერი

რაში გვჭირდება ზევსის დახმარება? ჩვენ თვითონ შევძლებთ პრობლემის გადაწყვეტას.

ჰადესი

შენს თავს ეწინააღმდეგები, ცერბერი! ხომ იცი, მაგიჟებს შენი ეგ საზიზღარი თვისება.

ცერბერი

ეგ თვისება რომ არა, მე თქვენს დარაჯად ვინ დამტოვებდა?

სურათი მერვე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) საინტერესოა, რატომ იმღერა პეტრო ბოიკომ? რა ამღერებდა?

ქორო

შევეცდები ავხსნა. რომ ელოდები და არ მოდის, რომ შეგპირდნენ და დაივიწყეს, რომ დაგინახეს და არ შეგამჩნიეს, რომ გიღალატეს და არ ინანეს, რომ დაგტოვეს და არ გაგიხსენეს და მერე ამ ყველაფერს რომ გაიაზრებ, აი, პეტრო ბოიკოს სულიერი მდგომარეობა ასეთი განცდებგამოვლილი კაცის ნამღერი იყო. მუშის ნამღერი, – ერთი სიტყვით.

პეტრო ბოიკო

უკრაინელი უნდა იყო, მარტოობას საარაკოზე რომ აიგდებ და მოახლოებულ უბედურებას ღიმილით შეხვდები. მეშახტე უნდა იყო, მიწისქვეშეთის რომ არ შეგემინდება და იმღერებ. შეყვარებული უნდა იყო, ეკალბარდში ვარდს რომ შენიშნავ და სიმღერას მიუძღვნი. მე ყველაფერი მოვისმინე. ისიც, რაც არ უნდა გამეგო და ისიც, რაც მანამდე უნდა მცოდნოდა. ახლა ამ გადმოსახედიდან, უფრო სწორად, ამ ქვესკნელიდან ერთი აზრი მიტრიალებს: როდესაც სიკვდილს თვალეში ჩახედავ, რისი უნდა შეგემინდეს? გამოვტყდები – მეც დავრჩები აქ! არსად წამსვლელი არ ვარ. ეს ნამდვილად. როგორც გითხარით, მე მინდოდა ასტრონომი გამხდარიყავი და ჩემს ტანზე ტატუ დამეხატა. ათი ტატუ დამეხატა, რომ ჩემს შეყვარებულს სხეულზე დახატული ტატუირებით შესძლებოდა ჩემი სულისთვის მიეგნო. მე მინდოდა, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ხარკოვში წავსულიყავი და გამოცდები ინსტიტუტში ჩამებარებინა. მაგრამ ჩემს სკოლას ყუმბარა მოხვდა და მას შემდეგ მეშახტე გავხდი. მივხვდი, რომ მეშახტეობა ყველაზე უსაფრთხო პროფესიაა, რადგან იქ არც სახლი გაქვს და შახტში შეყვარებულებსაც არ უშვებენ. არ უშვებენ იმიტომ, რომ შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს შენს სკოლას ყუმბარა მოხვდეს და სკოლაც და შეყვარებულსაც აგიფეთქოს. მერე კიდევ ვიღაც გენერალი ჩაგისაფრდეს და ტრაკში პანდურით წინა ხაზზე გაგადოს და გითხრას: ისროლე-ისროლე, მოკალი-მოკალი, დახვრიტე-დახვრიტე, ააფეთქე-ააფეთქე, აწამე-აწამე, ჩამოახრჩე-ჩამოახრჩე, დაწვი-დაწვი. და მერე ისევ ტრაკში პანდურით სანგარში ჩაგადოს და გითხრას: დაიძინე-დაიძინე, გამარცხე-გამარცხე, შეჭამე-შეჭამე, მოემზადე-მოემზადე, გააუპატიურე-გააუპატიურე, შეაფურთხე-შეაფურთხე, დააფსი-დააფსი და მერე, როდესაც გათენდება, ტრაკში პანდურით ისევ წინა ხაზზე გაგადოს და ასე დაუსრულებლად. მაგრამ ამასობაში მოგკლავენ და როგორც ირკვევა, აქ მოხვდები... როდესაც ჩემს სკოლას რუსული ჭურვი მოხვდა, ჩემი და, დედაჩემი და ჩემი შეყვარებული მთელ კლასთან ერთად აფეთქდნენ. დედაჩემი იულია ბოიკო დაწყებითი კლასების დამრიგებელი იყო. გაკვეთილების დრო იყო. მე ავად ვიყავი და ვაცდენდი.

ქორო

მამამისს, სერგეი ბოიკოს შეატყობინეს, რომ მისი ქალიშვილი და ცოლი დაიღუპნენ. ის კაცი ჯერ სკოლასთან მივიდა, სადაც სამხედროებს გზა გადაკეტილი ჰქონდათ, ხოლო შემდეგ ისევ შახტში დაბრუნდა, იმიტომ, რომ იქ მალავდა უფროს შვილს, თვრამეტი წლის პეტრო ბოიკოს. ამიტომ, სინამდვილეში, კი არ აცდენდა, არამედ იმალებოდა. იმალებოდა იმიტომ, რომ ომში არ წაეყვანათ და თავისი თანამომემებისთვის ფეხებს შორის დენთიანი დინამიტი არ შეეგდო. მამა მალავდა იმიტომ, რომ არ სჯეროდა ომის, ძარცვის, სროლის, მოკვლის, დახვრეტის, აფეთქების, წამების, ჩამოხრჩობის, დაწვისა და გაუპატიურების. არ სჯეროდა, რომ ორეხოვოს შახტის უდიდეს მადაროში, დიდ, შავ, ცივ, სველ ორმოში უსაფრთხოდ იყო და უბრძანა, სამუშაოდ მასთან ერთად გასულიყო. იმიტომ, რომ როდესაც მეშახტეები მუშაობენ, მათ მშობელი დედაც ვერ ცნობს. არამცთუ სამხედრო კომისარიატის ვირთხებს ამოეცნოთ და ომში გაეწვიათ.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მომდევნო მონოლოგის განმავლობაში მეშახტეები შეუმჩნევლად სცენას უბრუნდებიან. პეტროს მონოლოგს გულისყურით მოუსმენენ. იმიტომ, რომ იგრძნობენ – ამ ახალგაზრდა კაცს დარდი აწევს გულზე და თუ ეს დარდი არ გატეხა, ისე, როგორც კლდეს ამტვრევს და ტეხს, ვერ მოერევა საკუთარ შიშებსა და ტყუილს.

პეტრო ბოიკო

შინიდან მამაჩემთან გავიქეცი შახტში და იმის მერე არცერთი ვარსკვლავი არ მინახავს. შეიძლება ითქვას, რომ არც ცა მინახავს, მაგრამ, აი, ჩემი ტანი კი სავსეა ტატუირებით. შეხედეთ... აი, `ირმის ნახტომი`... იცით, სულ სამი სახის გალაქტიკა არსებობს: სპირალური, ელიპტიკური და არასწორი. მე ძალიან მიტაცებს სპირალური. აი, `ირმის ნახტომიც` სპირალურ გალაქტიკაშია. სპირალური გალაქტიკა მუდმივ ბრუნვაშია. როგორც ჩვენი ცხოვრება. მე და მამა ერთად ვმუშაობდით და ისე მოხდა, რომ აქ მარტო მოვხვდი. მაგრამ არა უშავს. მამას აქ დაველოდები. მანამდე კი დედაჩემს და ჩემს დას ვიპოვი. და რა თქმა უნდა, ჩემს შეყვარებულს. იმიტომ, რომ ჩემი შეყვარებული სულ არ იყო ჩემი შეყვარებული. მე მიყვარდა, მე ძალიან მიყვარდა, მაგრამ არ ვიცი, მას ვუყვარდი თუ არა. მინდოდა გამოსაშვებ სადამოხე სიყვარული ამეხსნა და მისთვის ხელი მეთხოვა. თუ დამთანხმდებოდა, ცოლს შევირთავდი და ხარკოვში გადავიდოდით საცხოვრებლად. გამოცდებს ინსტიტუტში ჩავაბარებდით, თან ვისწავლიდით და ვიმუშავებდით. მაგრამ სკოლას ჭურვი მოხვდა. ამიტომ შახტი ჩემი სახლია, აქ უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს. მშვიდად ვარ. აქ კომისარიატი ვერ მომაგნებს. ამიტომ არსად წამსვლელი არ ვარ. აქ ხომ მაინც ვნახავ შეყვარებულს და სიყვარულს ავუხსნი.

ვაჟა ასლამაზიშვილი

ისეთი პირი უჩანს, რომ `სულიკოსაც` უმღერებ! ასე არ არის?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მეგობრებს გაუხარდებათ ერთმანეთის ნახვა. ამიტომ სიხარულითა და ჟრიაშულით გადაეხვევიან. თითქოს დიდი ხნის მძაკაცები ყოფილიყვნენ და საუკუნეა ერთმანეთი ნანახი არ ჰყავდეთ!

ქორო

ახალგაზრდაა პეტრო ბოიკო და ალბათ ამიტომ, ყველაზე საცოდავი მათ შორის. პრინციპში, ის რეალური მიზეზი იქვია, რის გამოც დარჩენა უნდა. აბა, ერთი წუთით გავიხსენოთ, რატომ არ უნდოდა ვაჟა ასლამაზიშვილს დაბრუნება? კვირაში ერთი მეშახტე იღუპება და მაინც მოკვდებიო. და რაც მთავარია, მამის ნახვა სურს. უნდა ჰკითხოს მამამისს, ობლად დარჩენილმა, მეშახტის ტყავში მოსულმა კაცმა რაც გადაიტანა, ღირდა თუ არა ამად? ეს აინტერესებდა, ეს უნდა ჰკითხოს! და რატომ დარჩა ჯონ ტეილორი? კაცი-პროტესტი. სატვირთო მანქანების საბარგულზე მდგარი სამართლის მძებნელი? მაინც დაგმარცხდებით და აწი რა აზრი აქვსო. ჰო, ჯონ ლენონის ნახვაც მოინდომა. არ არის

უსაფუძვლო მიზეზი. და გერმანელი კაცი, კლაუს მიულერი? `წესრიგა~, როგორც მას კოლეგები უწოდებენ? არ უნდა ნახოს, რაც მის სამშობლოს მომავალი საუკუნის მანძილზე ელის. ესეც გასაგები მიზეზია. მაგრამ მე მაინც დავამატებდი, რომ რეალური მიზეზები კიდევ სხვაა. და აი, რა: ვაჟა ასლამაზიშვილის ადგილი შინ არ არის. დანგრეულმა საბჭოთა კავშირმა, ყველა სხვა `სიკეთესთან~ ერთად, საბჭოთა მოქალაქეს საცხოვრებელი ფართის პრობლემაც დაუტოვა. მეშახტის ოთახნახევრიან ბინაში იმდენი სული ცხოვრობს, რომ მორიგეობით სძინავთ. იქ ცხოვრობენ ვაჟა ასლამაზიშვილის მეუღლე, სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი, სამი რძალი და ორი სიძე. ისინიც მეშახტეები არიან. ვაჟა ასლამაზიშვილს თორმეტი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავს, რომელიც ასევე მეშახტეა. მართალია, ვაჟა ასლამაზიშვილი შვილიშვილებს დიდი ხანია არ ითვლის, მაგრამ ეს ასეა. როდესაც კაცები შახტში მუშაობენ, ქალებს სძინავთ. ხოლო როდესაც მამაკაცები შინ ბრუნდებიან, ცოლებს ბავშვები წყაროსთან ჩაჰყავთ, რომ მამები არ გააღვიძონ. თვითონ კი სამკერვალო ფაბრიკაში მიდიან შარვლების შესაკერად. ათობით, ათასობით, ასი ათასობით შარვალი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღარავის მიაქვს. აწყვია ეს შარვლები საწყობში და არავინ კითხულობს. ვინ ჩაიცვამს შარვალს, რომლის სტილი ოთხმოციანი წლების შემდეგ არ შეცვლილა. ამიტომ ვაჟა ასლამაზიშვილს შინ წასვლა სიკვდილივით ეზარება ხოლმე. მუშაობა ურჩევნია: თხრა, თხრა, თხრა-დაკვალვა, დაკვალვა, დაკვალვა... და რადგან მიწისქვეშეთი არც ისეთი საშიში ყოფილა, ახლა ათას მიზეზს მოიგონებს, შინ რომ არ დაბრუნდეს.

აბა, რევოლუციონერს შევხედოთ - ჯონ ტეილორს. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, როდესაც მამაკაცი საზოგადოებრივ აქტივობას იჩენს, ესე იგი შინ პრობლემები აქვს. ეს პრობლემები ოჯახური ხასიათისაა და თანაცხოვრების შედეგად დაგროვებული და გადაუჭრელი ემოციის ნაზავია ხოლმე. ამიტომ, ჯონ ტეილორი კი არის მებრძოლი და უშიშარი, მაგრამ შინ რომ თბილი ლოგინი, მოსიყვარულე ცოლი და აქტიური სექსუალური თავგადასავალი ელოდებოდეს, მანქანის საბარგულზე არ იდგებოდა და უვადო შიმშილობას არ გამოაცხადებდა. (პაუზის შემდეგ) რატომ ბრაზობთ? რა მოხდა? არ გჯერათ? იქნებ, ისიც მითხრათ, რომ ზედმეტად ცინიკურად ვმსჯელობ? მამაკაცი ცხოველია. საკმაოდ პრიმიტიული. ამიტომ, თუ მაცივარი სავსეა და ლოგინი თბილი, მისი შინიდან გაგდება ჯონ ლენონსაც გაუჭირდება.

აი, კლაუს მიულერი ამის ნათელი მაგალითია! ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგშია. შინ საცხოვრებელი პირობებიც ნორმალური აქვს, ცოლ-ქმარს ერთმანეთი უყვარს და არაჩვეულებრივი შვილები ეზრდებათ. ერთი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი. მაგრამ რატომ ხდება ისე, რომ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს და შინ მხოლოდ სამშაბათობით მიდის? მთელ დროს შახტში ატარებს და თხუნელასავით მუშაობს. რა არის აქ ისეთი, რაც ახსნას საჭიროებს? მოდი, დავუფიქრდეთ. იქნებ შახტში თავს უსაფრთხოდ გრძნობს? არ ომობს, არ იბრძვის და უახლოეს მომავალში ტყვია არ მოხვდება, რადგან შახტში არ ისვრიან. შენიღბულია მეშახტის სამოსით და ის დაწყევლილი სამშაბათი, როდესაც შინ დარჩენა უწევს, ჭირივით ეზიზღება. იმიტომ არა, რომ შინ მისვლა არ უხარია, მოსიყვარულე ცოლის სადილი არ მოსწონს და არ ენატრება. ან შვილები - ჰაიკე, გაბრიელა და ჰაინცი არ უყვარს, ან უმცროსი გაბრიელა მამას კისერზე არ ეკიდება და აწითლებულ, გაუხეშებულ და დაღლილ ლოყებს არ უკოცნის. არა. ეს ყველაფერი საკმარისად აქვს კლაუს მიულერს. ამ მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. საქმე ისაა, რომ ავსტრიელების ნასროლი ტყვიის ეშინია. უკვირს, როგორ შეიძლება ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანმა ასე სასიკვდილოდ გაიმეტოს მეორე ადამიანი და რატომ, იცით? არა იმიტომ, რომ მშიშარაა. არა! გზა შინისაკენ ტყეში გადიოდა, იქ კი ომიდან გამოქცეული დეზერტირი ავსტრიელები და გერმანელები ბანდებს ქმნიდნენ და გამვლელ მეშახტეებს უსაფრდებოდნენ. ამიტომ ეშინოდა შინ წასვლის. მის ცოლს, ფრაუ შარლოტა კურსბის, ახალგაზრდობაში სერბმა მკითხავმა უწინასწარმეტყველა: შენი ქმრის მკვლელი შენი ქმრის ენაზე ილაპარაკებსო, შენი ქმრის ცხედარს ვერც შენ იპოვი და ვერც თვითონო, შენი ქმარი წავა და მოეჩვენება, რომ არ წასულაო. აი, რატომ ეშინოდა სამშაბათების და ერჩივნა შენიღბული ყოფილიყო, თავზე სანთელანთებული მუზარადით ეჭრა ნახშირის სიმაგრეები და ეფიქრა წესრიგზე, რომელსაც გერმანული მიწა იმსახურებდა.

მ ა ც ნ ე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) აქ პაუზაა. დავფიქრდეთ რამდენიმე წამი, ხოლო შემდეგ განვაგრძოთ.

სურათი მეცხრე

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) დიახ, ჩვენ ჰადესის ოთახში ვართ! აქვე ის მაგიდაც დგას, რომელიც ჩვენ სამუშაო მაგიდა გვეგონა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სამუშაო ოთახი სავსეა `მაინერებით` - თანამედროვე მემახტეებით. მხოლოდ ეს `მაინერები` ნამდვილი მემახტეებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ქვანახშირის ნაცვლად ფულს გამოიმუშავენ. პატარა ყუთები, რომლებიც დენზე მუშაობს, ეზერნეტშია შეერთებული და ყოველი არსებობის წუთი ბიტკოინის, იგივე ინტერნეტ-ფულის გამოიმუშავენ.

ქორო

ჩვენ კი, გვეგონა, რომ ეს ისეთი ოთახია, სადაც გადაწყვეტილებების მიღებას არ ჩქარობენ. თურმე გადაწყვეტილება დიდი ხნის მიღებულია.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჰადესი და ცერბერი ურიკაზე მძიმე ყუთებს ეზიდებიან. ჰადესი და ცერბერი სამზადისში არიან. მაგრამ რას აპირებენ? აბა, კარგად დავაკვირდეთ და შევიტყობთ, რომ მათ `მაინერის` დანადგარები უსაფრთხო ადგილას გადააქვთ.

ქორო

დააკვირდით ჰადესს. იგი შემფოთებული, განადგურებული და გაუბედურებული ჩანს. იმას, რასაც ასე სათუთად უფრთხილდებოდა, საფრთხე დაემუქრა. რა არის ეს `მაინერი`? ესაა ჩვენი ეპოქის ასახვა, მისი ტექნოლოგიური გამოსახულება. `მაინერი` ხელშესახებია, მას დაიჭერ, გადასწევ, ერთი ადგილიდან მეორეში გადაიტან, ჩართავ და გათიშავ. `მაინერი` თავისთავად არაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ფულს გამოიმუშავენ. და ფულს არა ნამდვილს, არამედ ვირტუალურს. აღარ არის საჭირო სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, აღარ არის საჭირო დაგვიანებული გადაწყვეტილებების მიღება, აღარ არის საჭირო საერთოდ არაფრის მიღება! უბრალოდ, უნდა გქონდეს ეს პატარა `მაინერი` და ილოცო, რომ ნამდვილი მემახტეები არ მოვიდნენ, პირობები არ წამოაყენონ და აფეთქებით არ დაგემუქრონ.

ჰადესი

დასწყევლოს ღმერთმა! მე არ ვიყო ჰადესი, ეს საქმე ასე თუ დავტოვო!

ცერბერი

დიდო ჰადეს, შემფოთებას ვატყობ თქვენს სახეს.

ჰადესი

მაშ, როგორ არ უნდა ვიყო შემფოთებული, როდესაც ჩემს საყვარელ ცოლს ხელი არ ახლეს და მთელი მიწისქვეშეთის განადგურებით იმუქრებია. მე კი, სულელს, მეგონა, რომ ზევსი ჩემს სიდედრს, დემეტრას აჰყვამ. ჩემს ძმაზე დავეჭვდი. ბოლოს და ბოლოს, ღმერთი ვარ თუ ადამიანი?

ცერბერი

მართლაც, რომ ბრიყვობას არ აქვს საზღვარი.

ჰადესი

ახლა სისტემები უნდა გავთიშო, რომ ყველაფერი შენახული იყოს... რა დღეში ჩამადგეს... პირობები წამომიყენეს...

ცერბერი

მაგრამ დარწმუნებული ვარ, ესენი ზევსის გამოგზავნილი ხალხი არ არის.

ჰადესი

წარმოგიდგენია? პირობები წამომიყენეს. ამათ მე თვალში ვეპატარავები.

ცერბერი

მაგრამ ყველა ნიშანი ამაზე მიუთითებდა, რომ ეს მემახტეები ზევსის გამოგზავნილი ხალხი იყო... ჯერ ერთი, მოვიდნენ ქვიდან, პირდაპირ კლიდან გამოძვრნენ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სხვადასხვა ეპოქიდან, სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა ასაკის, ინტერესებისა და მისწრაფებების ადამიანები არიან. ზევსის ბრძანების თანახმად, ისინი მღერაიან და ლექსებს ამბობენ. და რატომ? მე რომ გზა ამიბნიონ, მიმამინონ და ამრიგად.....

ჰადესი

მომბეზრდა შენი ბრიყვული აზრების მოსმენა! გაჩუმი, თუ ქალი ხარ! (მაგიდას მიუჯდება) თუ ეს მემახტეები ზევსმა არ გამოგზავნა, მაშ, სად არიან ისინი, ვინც ზევსმა გამოგზავნა? ცოლი ხომ უნდა მოიტაცონ?

ცერბერი

კი მაგრამ, ზევსმა თავად არ გითხრათ, რომ ეს ტურისტები ამ საქმისთვის გამოგზავნა?

ჰადესი

ოჰ, ღმერთებო! (დგება) ვერ ხვდები, ბრიყვო, რომ ეს მხოლოდ თვალის ახვევისათვის იყო საჭირო?

ცერბერი

ზევსმა ეს სპეციალურად მოიფიქრა. რომ ჩვენ ყურადღება მათზე გადაგვეტანა.

მაცნე

ცერბერმა კვლავ საკუთარ თავთან იკამათა! ოჰ, ეს წინააღმდეგობის კომპლექსი! ეს კი, გითხარით, ძალიან აღიზიანებს ჰადესს. თუმცა, ახლა ამის დრო არ აქვს. ცერბერი მძიმე ყუთებს ეზიდება. მაგრამ, როგორც ყველა ღმერთის მსახურს, არ აშინებს სიძნელე, რამეთუ მძიმეა ხვედრი ღმერთის მსახურისა.

ჰადესი

მაგას მარტო ბიტკოინი აღელვებს.

ცერბერი

მეც მაქვს ზევსთან სათხოვარი, დიდო ჰადეს. და თქვენი შუამდგომლობის იმედად ვარ... მინდა გარეწარი ჰერაკლეს თავი ვთხოვო. დარწმუნებული ვარ, მობეზრებული ექნება მისი ოინები უკვე!

ჰადესი

ამათ მუსრი უნდა გავავლოთ. დღეს მიწისქვეშეთში მოძვრებიან, ხვალ კი ოლიმპოს მთაზე მოინდომებენ წამოწოლას. გაგონილა?

ცერბერი

მე ვერ წამოვალ!

ჰადესი

რაო? რა სთქვი? შენც მათ მხარეს გადახვედი?

ცერბერი

მინდა გამოვტყდე, რომ მეშინია! გზაში, შეიძლება ის გარეწარი ჰერაკლე შემხვდეს და თუ მიცნო, არ ვიცი, რას მიზამს.

ჰადესი

კი მაგრამ, მე ხომ შენ გვერდით ვარ?

ცერბერი

რა თქმა უნდა, ჩემ გვერდით ხართ! მხოლოდ თქვენს იმედად ვარ, დიდო ჰადეს! ვიცი, რომ მომხედავთ და არ მიმაგლებთ! არაფრის არ მეშინია, წავიდეთ!

ჰადესი

ცერბერ, მინდა ერთ რამეში გამოგიტყდე. და იმედი მაქვს, რომ არ გამიწყრები. უფრო სწორად, ვიცი, რომ გამიწყრები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მაპატიებ.

ცერბერი

რა უნდა მეწყინოს თქვენგან, დიდო ჰადეს? თქვენ რომ არა, გარეწარ ჰერაკლეს ახლაც მონად ვეყოლებოდი.

ჰადესი

სწორედაც რომ ასეა... მაგრამ...

ცერბერი

აღბათ გაინტერესებთ, ნარიყალას გოგირდებში რომ წამიყვანეს, მერე რა მიქნეს?

ჰადესი

არა, არა... მინდა აღსარება წარმოვთქვა, ცერბერ. შენი მოტაცება მე დავუშვი. ევრისტევსს, მიკენის მეფეს, ჰერაკლესთვის უთხოვინია, ისეთი რამ ეჩვენებინა, რომ სამი ღამე და სამი დღე თვალი არ მოეხუჭა. შენზე საშინელს აბა ვის მიუყვანდა? გადაწყვიტა, წაეყვანე და ამით ევრისტევსის გული მოეგო.

ცერბერი

კი მაგრამ, თქვენ რა შუაში ხართ, დიდო ჰადეს, გარეწარი ჰერაკლე ჩემზე თუ ასეთი აზრისაა?

ჰადესი

საქმე ისაა, რომ ჰერაკლემ მე მთხოვა, შენი გატაცების უფლება მიმეცა. და მეც დავთანხმდი.

ცერბერი

მაგრამ თქვენ ხომ არ იცოდით, რომ გარეწარი ჰერაკლე თავს მოულოდნელად დამესხმებოდა?

ჰადესი

მე ვუთხარი, რომ იარაღი არ ეხმარა და პირობა დავუდე – სუფთა ხელებით უნდა შეგრკინებოდა.

ცერბერი

მაგრამ, თქვენ ხომ არ იცოდით, რომ გარეწარი ჰერაკლე ზურგიდან მომეპარებოდა?

ჰადესი

მე შენზე სანაძლეო დავდე. ჰერაკლე თუ მოგერეოდა, ჩემი პერსეფონეს მოტაცებაში უნდა დამხმარებოდა. მე შენ სხვა ქალში გაგცვალე.

ცერბერი

მაგრამ პერსეფონე ხომ თავისი ნებით გამოგყვით?

ჰადესი

არა, მოვიტაცე. და ამაში ჰერაკლე დამეხმარა. ამიტომ, რომ დედამისი ვერ მპატიობს ამას. ამიტომ, რომ სულ მისი დაბრუნება უნდა და ათას ხრიკს ხმარობს, რომ როგორმე ქალიშვილი შინ დაიბრუნოს. საკუთარი ძმა – ზევსიც კი ჩემ წინააღმდეგ განაწყო.

ცერბერი

ეგ არაფერი, წარსული ამბავია. სამაგიეროდ, თქვენ არ იცოდით, რომ მაწამებდა და გამაუპატიურებდა.

ჰადესი

როდესაც წამება დაგიწყო, მე ხმა არ ამომიღია. ცოლთან ერთად ვერთობოდი და ხორციელ სიამტკბილობას ვემლეოდი.

ცერბერი

მაგრამ, თქვენ ხომ გადამარჩინეთ და მონობიდან გამათავისუფლეთ?

ჰადესი

ეს იმიტომ, რომ შენ იქ აღარავის სჭირდებოდი.

ცერბერი

მაგრამ თქვენ ხომ შემიფარეთ და მიწისქვეშეთში დამაბრუნეთ?

ჰადესი

შენი წაყვანა არავის უნდოდა.

ცერბერი

მაგრამ, რომ მოვეკალი, ხომ შეეძლოთ? თქვენ კი გადამარჩინეთ და ამის უფლება არ მიეცით!

ჰადესი

ცერბერ. შენ უკვე მკვდარი ხარ. მკვდარს ვინ მოკლავს? მაგრამ გული არ გაიტეხო. იმედი მაქვს, აფეთქებამდე დავაღწევთ თავს. მალე ოლიმპოზე წამოგაწვენ და უზრუნველ სიბერეს შეეთამაშები. ყველაფერი მზადაა. გაქცევას და დამალვას არაფერი უკლია. ახლა კი პერსეფონეს დავუძახებ და გზას გავუდგეთ.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) დატვირთულ ურიკებს ჩაეჭიდებიან და ის-ისაა სცენიდან უნდა გავიდნენ, რომ მათ გზას მეშახტეები გადაუღობავენ. სცენაზე ოთხი მეშახტე შემოდის.

ქორო

ისინი შემოდიან ოთხნი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ არიან ბევრნი, ძალიან ბევრნი სულებთან და თანამოაზრეებთან ერთად. მაგრამ ეს მოგვიანებით. ამჯერად კი ოთხნი არიან.

ჰადესი

აი, რა შედეგი მოაქვს საზღვრების გახსნას. ერთხელ შემოუშვებ და მერე წასვლა არ უნდათ. თავს ისე მოგაჩვენებენ, ვითომ სულ სხვა საქმეზე არიან. შემდეგ კი ულტიმატუმს აყენებენ.

ცერბერი

გაუგონარი ამბავია!

ჰადესი

გაუგონარი ამბავია. რა გინდათ? მუშაობა? არ გვჭირდება! იაფი მუშახელი აქაც ბევრი გვყავს. წაბრძანდით, საიდანაც მოხვედით, სანამ ჰკუაზე ვარ, თორემ ისე დაგსჯით, რომ პატრონი ვერ გიცნობთ. თქვენ ფიქრობთ, რომ აქ სიმშვიდეა. აქ სტაბილურად ერთფეროვნებაა, დალაგებულია ყველაფერი. დავარცხნილია. ასე ფიქრობთ, ხომ? თქვენ გგონიათ, რადგან თქვენს მშობლიურ მიწაზე არეულობა და მოუფვარებელი პრობლემებია, შეიძლება მოხვიდეთ, თავგზა აგვიბნოთ, ერთმანეთს დაგვაპირისპიროთ და წახვიდეთ? თქვენ ფიქრობთ, რომ აქ დარჩენა კარგია, იმიტომ, რომ იქ, თქვენთან, ცუდია? ვერ ხედავთ, აქ რა ხდება? ღმერთებსაც კი ვერ გაგვირკვევია ერთმანეთში საკითხები. რადგან კლდე გახვრიტეთ და აქ შემოხვედით, რადგან სიმღერა იცით და რადგან ლექსები გიყვართ, რადგან სევდიან ისტორიებს ყვებით და ცერბერს თავგზა აუბნით, გინდათ, რომ მეც გამაბრიყვოთ?

ჯონ ტეილორი

აბა, ვატყობ, ვიღაც სადღაც გარბის და სულ არ აპირებს ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას? თუ გვეჩვენება?

ჰადესი

(ჯონ ტეილორს) გადავეცი თქვენი მოთხოვნები ზევსს. პასუხი გაინტერესებთ? ვერ დანიშნავს ისეთ მთავრობას, ხალხს რომ გამოადგება, ვერ დაწერს ისეთ კანონებს, ადამიანებს რომ დაეხმარება, ვერ დავამხოვთ კორპორაციებს იმიტომ, რომ მათზე დგას ეკონომიკა, ვერ წავშლით საზღვრებს იმიტომ, რომ ვერ წავშლით საზღვრებს. აწი რაც მოხდება, ზევსი იღებს პასუხისმგებლობას. გამიშვით!

ვაჟა ასლამაზიშვილი

როდესაც მძიმე სამუშაო კვირის მერე შინ მივდივარ, ქალები და ბავშვები სახლიდან გადიან. ქალები ქარხანაში, შარვლების შესაკერად, ბავშვები კი წყაროსთან ირთობენ თავს. თამაშობენ. ასე იმიტომ შვებიან, რომ სახლში ადგილი არ არის.

ჰადესი

(ვაჟა ასლამაზიშვილს) შენი ქვეყნიდან კიდევ დიდხანს გაიქცევინ. ირბენენ და ირბენენ შენი მოქალაქეები უკეთესი ცხოვრების საძებნელად. ასე რომ, ემიგრაციას ვერ შევაჩერებთ. ამ პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ჰო, კიდევ, შრომის უსაფრთხოებას ითხოვდით. არ გამოვა. შრომის დროს ვიღაც აუცილებლად მოკვდება. სხვანაირად არ გამოვა. ასე რომ, გამატარეთ!

კლაუს მიულერი

მე არ მიყვარს ტყუილი. ჩემი ნაკლი ალბათ ისაა, რომ არც თვალთმაქცი ვარ და არც მატყუარა. ავი გითხარით, მეტსახელად `წესრიგა` შემარქვეს. შინ მისვლა მიხარია, სახლში მოსიყვარულე ცოლი და შვილები მელოდებიან, მაგრამ ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები ერთმანეთს რატომ კლავენ, ეს ვერ გავიგე.

ჰადესი

(კლაუს მიულერს) შრომის პირობებს ვერ გავაუმჯობესებთ. ვერც გავათანაბრებთ. შენს ქვეყანაში კიდევ დიდხანს იქნება ომი. ასე რომ, სტაბილურობას ვერ შემოგთავაზებთ. მშვიდობით!

პეტრო ბოიკო

სკოლის ბუფეტში კედელზე დიდი ნახატია. იქ მგელი და ბაჭიაა დახატული მულტფილმიდან `აბა დამაცადე`. კვება ნორმალური იყო. ომის პირობებში, შეიძლება ითქვას, იდეალური. დილით მანის ფაფა, საღამოს ორცხობილა და ჯემი. სადილზე, ორშაბათს და ოთხშაბათს, ხორცის დღეები იყო. სამშაბათს და ხუთშაბათს ბოსტნეულის დღეები იყო, ხოლო პარასკევს – თევზის დღე. არ იყო ცუდი...

ჰადესი

იცი, რას გეტყვი? თქვენ, უბრალო მუშები, ყოველთვის ფსკერზე დარჩებით. უნდობლობას მე ვერ გამოვასწორებ. პოლიტიკოსები და ოლიგარქები ამას არასოდეს გეტყვიან. ისინი გიკარნახებენ, როგორ იცხოვროთ, რა ჭამოთ, რა იყიდოთ და როდის იომოთ. მუდამ იქნებით მონები, არაფრის მაქნისი ხალხი, რომელიც სხვის იმედად იცხოვრებს. ასე რომ, გზა, გზა დამითმეთ!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ჰადესს გასვლა უნდა. მას გზას მემახტეები გადაულობავენ. ცერბერი ურიკით ცდილობს თავის დაღწევას, მაგრამ არც მას გამოსდის.

ჯონ ტეილორი

სხვა გზას არ გვიტოვებს.

პეტრო ბოიკო

მართლა ხომ არ ავაფეთქებთ?

ვაჟა ასლამაზიშვილი

აბა, რა გზა გვაქვს სხვა? ჩვენ თუ არ დავიცავით ჩვენი სიტყვა, ვინ დაიცავს?

კლაუს მიულერი

კი მაგრამ, რომ ავაფეთქოთ, ჩვენც ხომ ავფეთქდებით?

ჯონ ტეილორი

იდესთვის თავის გაწირვა – ბედნიერებაა.

კლაუს მიულერი

მაგრამ შედეგებს ხომ ვერ ვნახავთ?

ვაჟა ასლამაზიშვილი

ისეთი პირი უჩანს, შედეგებს ჩვენი შვილები ნახავენ.

პეტრო ბოიკო

მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ აფეთქებას არ აქვს შედეგი. აფეთქებას არასოდეს მოაქვს შედეგი. სულ ტყუილად ვაფეთქებთ.

კლაუს მიულერი

მომეცით ეგ დინამიტი. მე შევინახავთ. არ ავაფეთქოთ.

პეტრო ბოიკო

მაგას სჯობს, ჰადესი პირდაპირ ზევსს დავალაპარაკოთ.

ვაჟა ასლამაზიშვილი

და ზევსს დავემუქროთ? შენ გგონია, ზევსს ჩვენი შეეშინდება?

ჯონ ტეილორი

ეს კაცი ზევსის ძმია. თუ ზევსისგან რამე გვინდა, ისევ ამით უნდა ვევაჭროთ.

ჰადესი

რა საინტერესოა. ღმერთი ვარ და ადამიანით მეპყრობიან.

ცერბერი

თვალში ეპატარავებით, დიდო ჰადეს.

ჰადესი

ჩემი პერსეფონე რომ არა, მე თვითონ ავაფეთქებდი ამ მემახტეებს.

ცერბერი

იქნებ, `მანერი~ შევთავაზოთ?

ჰადესი

რად უნდა მემახტეს მემახტე?

ჯონ ტეილორი

ჩვენს სულებს ვერ იყიდი.

ვაჟა ასლამაზიშვილი

რაც არის – არის!

ჯონ ტეილორი

საბოლოოდ გაფრთხილებთ: ან ჩვენს მოთხოვნებს ასრულებთ, ან ავაფეთქებთ აქაურობას.

პეტრო ბოიკო

აფეთქებით შედეგს ვერ მივაღწევთ.

კლაუს მიულერი

მე არ მომწონს ძალადობა. მე არ ვეთანხმები ამას. გავაგრძელოთ მოლაპარაკებები!

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ასე იყო ეს ამბავი. მემახტეები ერთმანეთზე იწვევენ. ჯონ ტეილორს ხელში დეტონატორი უჭირავს. ცდილობს დეტონატორი აამოქმედოს და მიწისქვეშეთი ააფეთქოს, ხოლო პეტრო ბოიკო ამაში ხელს უშლის. ვაჟა ასლამაზიშვილი პეტრო ბოიკოს აჩერებს, კლაუს მიულერი კი ვაჟას. მთელ ამბავში არიან.

ქორო

პრინციპში, ჰადესის სამფლობელოში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ვინ არ უნახავს ჰადესს და მის მსახურს: ადამიანები და არაადამიანები, გულიანები და უგულოები, ნორმალურები და არანორმალურები, ვაჟკაცები და მხდლები, ბედნიერები და უბედურები, ლამაზები და უშნოები, დალოცვილები და დაწყევლილები, მოქალაქეები და მონები, გონიერები და უგუნურები, სველები და მშრალები, მომდერლები და გლეხები, ენერგიულები და გამოფიტულები, კეთილები და ბოროტები, მხიარულები და დაღვრემილები, სათნოები და ავები, გონიერები და ბნელები, ჯანმრთელები და ავადმყოფები, ნიჭიერები და სულები, კმაყოფილები და განაწყენებულები, მორწმუნენი და ურწმუნონი, მაგრამ, ასეთი? ვინ გაბედავდა, ჰადესს დამუქრებოდა?

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) არავის ეგონა, ასე თუ დამთავრდებოდა ყველაფერი. ამ დავიდარაბაში, სანამ მემახტეები ერთმანეთში ჩხუბობენ, ვიღაცა დეტონატორს აამოქმედებს და ყველაფერი ნათდება, ჩამოინგრევა, ჩამოიქცევა, იშლება, ნაკუწებად იქცევა და ნადგურდება.

ქორო

მაცნე, ჩვენ ვიცით, პერსეფონეს ოთახები სად არის. მომყევი...

მაცნე

მაგრამ მე ჩემი ამოცანა მაქვს. ზევსის დავალებით, ჰადესს პერსეფონე უნდა მოვტაცოთ და დედამისს - დემეტრას დავუბრუნოთ. ამ საქმეზე ვართ მოსულნი. ქორო კი მეხმარება. აბა, შევუდგეთ საქმეს.

(ქორო და მაცნე გადიან.)

ეპილოგი

ჰადესის სამფლობელო. მიწისქვეშეთი აფეთქებულია. მაცნეს დაბმული პერსეფონე მოჰყავს. მას ქორო ეხმარება. მაცნეს და ქოროს სცენის გადაჭრა და გასვლა უნდათ, მაგრამ მაცურებლის დანახვაზე ჩერდებიან. მაცურებელს მიმართავენ, თითქოს დაავიწყდათ, რა საქმეზე იყვნენ ჩამოსულნი.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) მიწისქვეშეთი ფეთქდება. შესაბამისად, ინგრევა ყველაფერი, და ქვა, ღორღი, მტვერი, ქვიშა, სილა და ხმაური ერთმანეთში ირევა. საქმე ისაა, რომ სცენის სიღრმეში, იქ, სადაც კლდე იყო, სადაც პიესის დასაწყისში მემახტეები ჩამოვიდნენ, უცნაური რამ ხდება.

ქორო

კლდე, რომელიც პირქუშად, მდუმარედ და უტყვად იდგა და დაღვრემილი, დაღონებული, დაფიქრებული მიწისქვეშეთის საუფლოდან შემოგვყურებდა, ნელ-ნელა ციმციმს იწყებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს ნათება ღრმულებიდან მოდის. მბჟუტავი და შემალონებელი, დარდწაღებული.

მაცნე

(სცენაზე მიმდინარე მოქმედებას აღწერს) ნათება იზრდება, შუქი მატულობს, ათი, ათასი, ათი ათასი ციციანათელა, რომელიც მემახტის ჩაფხუტზე დამაგრებული ფარნები ყოფილა და არა მირაჟი, წინ მოიწევს. კლდიდან გადმოდის... ამ სანახაობას წინ ოთხი მემახტე მიუძღვის. მათ ხელში ცეცხლოვანი წერაქვი უჭირავთ და შუბლზე მესამე თვალი მზესავით უნათებთ.

ქორო

მაგრამ ეს ყველაფერი აფეთქებულ მიწისქვეშეთში ხდება, სადაც ქვის, ღორღის, მტვრის, ქვიშისა და სილის ნაზავი ერთმანეთშია არეული. ისეთი დროა, რომ მემახტეები და სულები თანამოაზრენი გახდნენ. დიახ, ესენი სულები და თანამოაზრეები არიან. დროსა და სივრცეში დაკარგულნი. მუდამ ერთსა და იმავე წრეზე მოსიარულენი. ისინი, ვინც დამთავრდნენ და არც კი დაწყებულან, ვინც დააკლდნენ და არც კი ყოფილან, ვინც იმოგზაურეს და არც კი წასულან, ვინც გვიყვარდა და არც კი არსებობდა.

მაცნე

ჩვენ უნდა დაგტოვოთ. ზევსის დავალებით, პერსეფონე დედამისს უნდა მივგვაროთ.

(მაცნე, რომელსაც დატყვევებული პერსეფონე მოჰყავს, გადის. მას ქოროც მიყვება. სცენაზე სულები და თანამოაზრენი რჩებიან. სცენა ბნელდება.)

დასასრული

